140/1952/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

8
აგვისტო
1952

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმათავისუფლებელი საბჭოთა
მებრძოლის ძეგლი ბერლინში
ქანდაკება ე. ვ. ვუჩეტიჩისა

ჯ ი ო ნ ე ლ ი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 8
აგვისტო, 1952 წ.
წელიწადი XXVI

ეროვნული ბიბლიოთეკა

5573

სიმონ ჩიქოვანი

საბჭოთა მეომარი ბერლინში

ბერლინში მდგარი საბჭოთა მეომრის ქანდაკება განმათავისუფლებელ მებრძოლის სახეს გამოხატავს; ერთ ხელში ბავშვი უპყრია, მეორეში — მახვილი. ქანდაკების ირგვლივ ომში დაღუპულ საბჭოთა მეომრების საფლავებია.

მარცხენა ხელში ბავშვი უპყრია,
მახვილის ვადას მარჯვენა ბღუჯავს.
გმირის ხელი და გული უხვია
და სწერს სახალხოდ მშვიდობის გუჯარს.

ხელში მახვილით სიბნელეს კაფავს,
სისხლი მოუშრო მოგვალულ მდელოს.
ბორცვში საფლავი მიჯრია საფლავს
და კვამლის ფერი აჩნია ჩეროს.

გმირებმა ძვლებით ფუძე შეჰკონეს,
თვალი შეასწრეს ბედნიერ მერმისს.
გმირო, სამარის ძეგლი მეგონე,
შენ კი საყვირით აღვიძებ ბერლინს.

გაკვეთე ბევრგზის მავთული ეკლის,
გუმანით სცნობდი დანაღმულ ალაგს.
შენ ხარ მაისი და არა ძეგლი
და ცეცხლის შემდეგ აცოცხლებ ბალახს.

კვალი დასტოვე ყოველ კუთხეში,
რტოზე მოძერწე აპრილის კვირტი.
შენ ხარ მამულში დედის ნუგეში,
ნაომარ მიწის პირველი მკვიდრი.

ბორცვზე გაშლილი შენი ჩრდილია,
შენ ბრანდენბურგის მოხველ კარამდი,
შენი ფეხის ხმა აღბეჭდილია,
როგორც სიცოცხლის მღერა მარადი.

ხარ მომკელი და ყანის მთესველი,
მხსნელად მოხველ და არ ხარ სტუმარი.
სიცოცხლეს კვებავს შენი ფესვები
და შენ მიგელის ყველა უბანი.

ვოლგის წყლით სავსე მოგყვა მათარა,
დედის რძესავით შეგერგო ვაჟკაცს.
გულზე მიგიკრავს ბავშვი პატარა
და ბავშს უშენებ ვოლგაზე კაშხალს.

მკერდზე მიგიკრავს ბალღი პატარა,
ვოლგის ტალღა თუ მყინვარის ჩრდილი.
ხელმა სათუთად გზაზე ატარა,
ომის შემდგომი სამშობლოს შვილი.

შენს თვალში ყანა ღაღანებს მწიფე.
აღებ მშვიდობის გზაზე ალაყაფს.
შენი ხელია მომავლის კიბე
და ხელს მერმისში ბავშვი გადაჰყავს.

როგორც მაისის ვარდი გიპყრია,
ეს ყველა კუთხის ბუდის ბავშვია.
თვალი გრიგალში არ დაგიხრია
და გარს გარტყია ვოლგის არშია.

სამშობლოს შუქი გარშემო გაკრავს,
მახვილის ვადას მარჯვენა ბღუჯავს.
არწევ მომავლის უთვალავ აკვანს
და სწერ სახალხოდ მშვიდობის გუჯარს.



არკადი გაიდარი

მხატვარი კ. მახარაძე

P. B. C.*

წინად აქ ხანდახან მოირბენდნენ ბავშვები, გვერდზე გადადრეცილ, ნახევრად დანგრეულ ფარდულებს შორის დაძვრებოდნენ, დარბოდნენ. აქ კარგი იყო.

ოდესღაც გერმანელებმა, უკრაინა რომ დაიპყრეს, აქ თივა და ჩალა მოზიდეს. მაგრამ გერმანელები წითლებმა გარეკეს, წითლების შემდეგ მოვიდნენ პაიდამაკები, პაიდამაკები პეტლიურელებმა გარეკეს, პეტლიურელები კიდევ ვიდაცამ. თივა კი ნახევრადდამპალ, ჩაშავებულ ბოლვად დარჩა.

მას შემდეგ კი, რაც ატამანმა კრიეოლობმა, სწორედ იმან, რომელსაც ფაფახი ყვითელი და ცისფერი ლენტით ჰქონდა გაწყობილი, აქ ოთხი რუსი და ერთი უკრაინელი დახვრიტა, ბავშვებს ამ მიმზიდველ ლაბირინთებში ძრომისა და მალვის ყოველგვარი სურვილი დაეკარგათ. და ასე იდგნენ შავი, მდუმარე, მიტოვებული ფარდულები.

მხოლოდ დიმკა მოირბენდა ხოლმე ფარდულებთან ხშირად, რადგან აქ როგორღაც განსაკუთრებით თბილად აცხუნებდა მზე, სასიამოვნო სუნი ასდიოდა მომწყრო-მოტკბო არტემიზიას, და ფართოდ გაშლილ ოროვანდებს მშვიდად დასზუზუნებდნენ კეღლები.

მოკლულები?... ისინი ხომ დიდი ხანია აღარ არიან. საერთო ორმოში ჩაჰყარეს და მიწა მიაყარეს. ხოლო მოხუცმა მათხოვარმა ავდეიმ, რომელისაც პატარა ბავშვებს ეშინიათ, ორი ჯვეხისაგან მაგარი ჯვარი გააკეთა და მალულად დადგა საფლავზე. არავის დაუნახავს, დიმკამ კი დაინახა. დაინახა, მაგრამ არავის უთხრა.

დიმკა მყუდრო კუთხეში შეჩერდა და ირგვლივ ყურადღებით მიმოიხედა. საეჭვო რომ ვერაფერი შენიშნა, ჩალაში ხელი შეიყო, ერთხანს ქექა და ბოლოს ამოაძარო ვაზნების ორი მჭიდე, შაშხანის ზუმბა და დაჟანგული ავსტრიული ხიშტი უკარქაშოდ.

პირველად დიმკა ანსახიერებდა მზვერავს, ეს იგი მუხლებზე ხოხავდა, ხოლო კრიტიკულ წუთებში, როდესაც საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ მტერი ახლოსაა, მიწაზე წვებოდა, დიდი სიფრთხილით მიიწევდა წინ და დაწვრილებით ათვალიერებდა მის განლაგებას. ბედნიერი შემთხვევითობისა, თუ კიდევ სხვა რაღაცის გამო, ღღეს ბედი სწყალობდა. იგი ანარხებდა დაუსჯელად, თითქმის ზედ მისდგომოდა წარმოსახვითი მტრის საგუშაგოებს, და თოფების, ტყვიამფრქვევების და ხანდახან თვით ბატარეის ცეცხლქვეშ უვნებელი ბრუნდებოდა თავის ბანაკში.

შემდეგ, დაზვერვის შედეგების შესაბამისად, აგზავნიდა ცხენოსან ჯარს, დასმენილებდა და ხმალდახმალ გადაერეოდა ბირკას და თავცეცხლას შიგ შუაგულში, რომლებიც გმირულად კვდებოდნენ და მიუხედავად ასეთი მძვინვარე იერიშისა არ სურდათ უკუქცევა.

დიმკა აფახსებს მამაცობას და ამიტომ გადარჩენილები ტყვედ მოჰყავს. შემდეგ, გასცემს ბრძანებას: „მოეწყვეთ!“ „სმენა!“ და ტყვედ ჩავარდნილებს მრისხანე სიტყვით მიმართავს:

— ვის წინაღმდეგ მიდიხართ? საკუთარი ძმის—მუშისა და გლეხის წინააღმდეგ?!

ანდა:

— კომუნა მოგინდათ?! თავისუფლება მოგინდათ?! კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ...

ეს, იმის მიხედვით, თუ მოცემულ შემთხვევაში, რომელი არმიის მეთაურს ანსახიერებდა, რადგანაც რიგრიგობით ხან ერთსა და ხან მეორეს მეთაურობდა.

ის დღეს იმდენად გაიტაცა თამაშმა, რომ გონს მხოლოდ მაშინ მოვიდა, როდესაც შინ მომავალი ნახირის ზანზალაკების ჟღარუნი გაისმა.

„დასწყევლოს ღმერთმა, — გაიფიქრა მან.—ახლა

* P. B. C. — ნიშნავს რევოლუციურ სამხედრო საბჭოს.

კი მიმტკიცებაკენ დედა, შესაძლებელია საქმელიც არ დამიტოვოს". დამალა თავისი იარაღი და შინისკენ მოკურცხლა. თან გზადაგზა ფიქრობდა, როგორ ეცრუა უქეთ.

მაგრამ მისდა გასაოცრად, არ დაუტუქსავთ, და ტყუილის თქმაც ადარ დასჭირვებია.

დედას თითქმის არ მოუქცევია მისთვის ყურადღება მიუხედავად იმისა, რომ პარმალთან კინაღამ ზედ შეეჯიჩნა. ბებია გასაღებებს აჩხარუნებდა და საკუჭნაოდან რატომღაც ძველი პიჯაკი და შარვალი გამოქმენდა.

ბაბარა ძმა ტოტი თოხის გროვაში ჩხირით გულმოდგინედ თხრიდა ორმოს.

დიმკას ვიდაცამ წყნარად მოსწია უკანიდან შარვალში: შემობრუნდა—და დაინახა ბანჯგვლიანი შელი, რომელიც მოწყენით გამოიყურებოდა.

— რაო, სულელო?—ალერსიანად შეეკითხა ის და უცემ შენიშნა, რომ ძაღლს ტუჩი რაღაცით ჰქონდა გახეთქილი.

— დედი, ეს ვინ?—მრისხანედ იკითხა დიმკამ.

— ომ, თავი დამანებე!—გაჯავრებით მიუგო მან და ზურგი შეაქცია.—მე რა, სულ მაგას ვუყურებდი, თუ?!

მაგრამ დიმკამ იგრძნო, რომ დედა მართალს არ ამბობდა.

— ეს, ბიძიამ ჩექმა გაარტყა.—განმარტა ტოამმ.

— ეგ კიდევ რომელი ბიძია?

— ბიძია... რუხი... ის ჩვენთან ზის, ქოხში.

დიმკამ „რუხ ბიძიას" შეუკურთხა და კარი გააღო. საწოლზე დაინახა ჯვარისაცას გიმნასტერაში გამოწყობილი ზორგა ბაბუკი; იქვე, სკამზე გახეხილი რუხი ფარაჯა იდო.

— გოლოვენ!—გაოცდა დიმკა.—საიდან გაჩნდი?

— იქიდან.—იყო მოკლე პასუხი.

— რატომ დაარტყი შელს?

— ეგ კიდევ რომელ შელს?

— ჩემ ძაღლს...

— ნუ ეეფუს, ორივ სულაც კისერს მოვუტყრეს.

— შენ თვითონ მოგიგრიხოს ვინმემ! — გაგულისებით მიუგო დიმკამ და ღუმელს უკან შეჩტა, რადგან გოლოვენმა ხელი იქვე დაგდებულ ძმიმე ჩექმას წაატანა.

დიმკა ვერაფერით მიმბეგრარიყო, საიდან გაჩნდა გოლოვენი.

სულ ახლახან წაიყვანეს იგი წითლებმა ჯვარში, ახლა კი ისევ სახლშია. შეუძლებელია, რომ მათ ასეთი ხანმოკლე სამსახური ჰქონდეთ.

ვახშმობისას ვერ მოითმინა და შეეკითხა:

— შვებულებაში ჩამოხვედი?

— შვებულებაში.

— აბა! დიდი ხნით?

— დიდი ხნით.

— შენ სტყუი, გოლოვენ! — დარწმუნებით უთხრა დიმკამ.—არც წითლები, არც თეორები და არც მწვანეები დიდი ხნით არავის უშვებენ, ვინაიდან ახლა ომია. შენ დეზერტირი ხარ ალბათ.

იმავე წუთში დიმკამ ძლიერი დარტყმა მიიღო კისერში.

— რატომ სცემ ბავშვს?—ჩაერია დიმკას დედა. — იმოვნე რაღა შენც ტოლი.

გოლოვენი* კიდევ უფრო მეტად გაწითლდა, დიდუფრა მრგვალი თავი (ამბორმაც მიიღო ზედმეტი ნახლი) აიქნია და უხეშად მიუგო:

—ვირჩევნიათ გაჩუქდეთ... პატერიული პროლეტარებო... თორემ იმასაც მოესწრებით, რომ სახლიდან გაგრეკავთ.

ამის შემდეგ დედა როგორღაც აიწურა, მოიკუნტა და დიმკას, რომელიც ცრემლებს ყლაპავდა, შეუტია: შენც ნუ ეჩრები, კერძო, სადაც საჭირო არაა, თორემ უარესიც მოგხვდება.

ნავახშმევს დიმკა წინკარში მიიკუნტა. ყურთეს უკან, ჩალის გროვაზე დაწვა, დედისეული ტყაპუჭი წაიხურა და დიდხანს ასე იწვა—არ ეძინებოდა. ზემოდგე მასთან წყნარად მივიდა შელი და თავი მხარზე დაადო.

— დედი, წავიდეთ პიტერში, მამასთან...

— ეჰ, დიმკა! მე თუნდაც ამ წუთში... მაგრამ ახლა განა გაადწევ? ათასნაირი საშვებია საჭირო, ესეც არ იყოს, ხომ ხედავ, ირგვლივ რა ამბებია.

— პიტერში, დედი, რომლები არიან?

— ვინ იცის! ამბობენ, წითლები არიანო. შესაძლებელი სტყუიან. ახლა განა გაარჩევ?

დიმკა დაეთანხმა, რომ გარჩევა ძნელია. სათემო სოფელი აგერ ყურის ძირშია, მაგრამ ვერ გაიგებ ვის ხელშია. ამბობდნენ, ამ დღეებში კოზლოლუმა დაიკავაო... მაგრამ ვინაა კოზოლეტი, რომელ პარტიას ეკუთვნის? და იგი ჩაფიქრებულ დედას შეეკითხა:

— დედი, კოზლოლუმი მწვანეა?

ჯვანდაბას მაგათი თავი! — გაგულისებით მიუგო მან.—აქამდე ყველანი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, ახლა კი მოდი და გაარჩიე...

წინკარში ბნელი. გალეკულ კარში მოსჩანს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და კაშკაშა მთვარის კიდე, დიმკა უფრო მოხერხებულად ეწყობა ჩალაში და წუხანდელი კარგი, მაგრამ დაუთანგრეველი სიზმრის გაგრძელების სანახავად ემზადება. თვლემს და გრძნობს, როგორ საამოდ უთბობს კისერს მის მხარზე თავმიდებული ერთგული შელი.

მზე ანათებს და ლურჯ ცაზე ვერცხლისფრად ელავენ ღრუბლების კიდეები. ქარი დასთამაშებს ფართოდ გადაშლილ ოქროსფერ ყანებს. ზაფხულის დღე ცისფერია და მშვიდი. მხოლოდ ადამიანები არიან მოუსვენრნად. საღღაც დაბურულ ტყის იქით აკკანდნენ ტყვეაფფრქვევები. საღღაც ტყის პირზე ყრუდ გამოეპასუხენენ ერთმანეთს ქვემეხები, საღღაც ჩაიკროლა ცხენოსანმა რაზმმა.

— დედი, ეს ვისთან?

— დამეხსენ!

დაეხსნა დიმკა, ღობისკენ გაიქცა, ერთ-ერთ ლატანზე აძვრა და დიდხანს გაპყურებდა, ვიდრე რაზმი თვალს მიეფარებოდა.

გაბოროტებული დადიოდა გოლოვენი. ყოველთვის, როცა სოფელზე წითელი რაზმი გადიოდა, ის საღღაც იმალებოდა. და დიმკა მიხვდა, რომ გოლოვენი დეზერტირი იყო.

---

* გოლოვენი ნიშნავს დიდთავას.



— რატომ დაარტყი შველს?!

როგორლაც ბებიამ დიმკა გაგზავნა, რომ გოლოვენისათვის თავაშში მიეტანა ქონის ნაჭერი და პურის ნატეხი. მოფარებულ ბუნაგს რომ უახლოვდებოდა, შეამჩნია, რომ გოლოვენი, რომელიც მისკენ ზურგშექცეული იჯდა, რაღაცას ჩაჰკერკეტებდა.

„შაშხანა!—გაოცდა დიმკა.—აი ხათაბალა! რად უნდა?“

გოლოვენმა გულმოდგინედ გაწმინდა საკეტი, ლულას ჩგარი დაუცო და შაშხანა თავაში შემალა.

მთელ იმ საღამოს და კიდევ რამოდენიმე მომდევნო დღეებში დიმკას ცნობისმოყვარეობა არ ახვენებდა, უნდოდა ენახა რა შაშხანა იყო, რუსული თუ გერმანული? შესაძლებელია იქ ნაგანიც იყოს?

სწორედ იმხანად ირგვლივ ყველაფერი მიწუნარდა. წითლებმა კოზოლუპი განდევნეს და რომელიღაც ფრონტზე გასწიეს. ჩუმი და უკაცრიელი გახდა პატარა სოფელი. ახლა გოლოვენი ხშირად სტოვებდა თავანს და საღაც დიდი ხნით იკარგებოდა. და აი, შებინდებისას, როდესაც პაყაყების ყიყინმა მოიცვა ბავარდისფერებული პატარა ტბა, როდესაც მკვირცხლმა მერცხლებმა ჰაერში იწყეს სრიალი და უაზროდ აზუზუნდნენ კოლობები, გადასწყვიტა დიმკამ როგორმე თავანში შემცურალიყო.

კარს ბოქლომი ედო, მაგრამ დიმკას თავისი სავალი ჰქონდა— საქათმიდან. აკრიალდა გამოწეული ფიცარი, ხმამაღლა აკრიახდნენ შეშფოთებული ქათმები. ხმაურით შეშინებული დიმკა სწრაფად აძვრა ზევით. თავანში შეხუთული ჰაერი იყო, სიწყნარე სუფევდა. გაძვრა ია კუთხისაკენ, სადაც ეგდო გაბუქმბლული წითელი ბალიში, და სახურავქვეშ ხელის ცეცებაში რაღაც მაგარს წაეწყდა. „კონდახი!“ ყური მიუგდო; გარეთ არავინაა, მოსწია და მთელი შაშხანა გამოთრია. ნაგანი არ იყო. შაშხანა რუსული აღმოჩნდა. დიმკა დიდხანს ატრიალებდა ხელში, ფრთხილად სინჯავდა. „რა იქნება საკეტი რომ გავალო?“

თვითონ მას არასოდეს არ გაუღია, მაგრამ ხშირად უნახავს, როგორ აკეთებდნენ ამას ჯარისკაცები. ფრთხილად მოსწია — სახელურმა ზევით აიწია, ბოლომდე მოსწია თავისკენ. „შემძლებია!“ ამაყად გაიფიქრა მან, მაგრამ აქვე შენიშნა საკეტქვემოდ საიდანღაც ამოძვრალი მოყვითალო ვაზნა. ამან ცოტა შეაფიქრინა და გადაწყვიტა ისევ დაეკეტა. ახლა უკვე გაუჭირდა, და დიმკამ შენიშნა, რომ ყვითელი ვაზნა პირდაპირ ლულაში მიძვრება; შეეყოყმანება და შაშხანისაგან თავი შორს დაიჭირა. „სად მიძვრება ქაჯი!“

მაგრამ საქმრო იყო აჩქარება. მან საკეტი ჩაკეტა და შაშხანა ნელა შესწია თავის ადგილზე. თითქმის სულ შემალა, რომ უცვე კარი გაიღო და პირდაპირ დიმკას წინ გაჩნდა გოლოვენის გოცებული და განრისხებული სახე.

— შენ, აქ რას აკეთებ, ძაღლო?

— არაფერს!—შიშით მიუგო დიმკამ, — მეძინა... და ფეხით შეუმჩნეველად შესწია კონდახი თავაში. იმავე წუთში გაისმა ყრუ, მაგრამ ძლიერი გასროლა. დიმკამ კინაღამ კიბიდან გადმოაგდო გოლოვენი, ზემოდან პირდაპირ მიწაზე გადმოხტა და ბოსტნისაკენ მოკურცხლა. გზისპირად, ღობეზე რომ გადახტა, თხრილში წაბორძიკდა და, როდესაც წამოხტა, იგრძნო, როგორ ჩაეფრინდა გამძვინვარებული გოლოვენი პერანგში.

„მომკლავს! — გაიფიქრა დიმკამ,—არც დედაა, არც არავინ— ახლა კი გათავდა“. ზურგში ძლიერი დარტყმა რომ მიიღო, რომლისაგან თვალწინ შავი წრეები დაუტრიალდა, მიწაზე დაეცა და მორიგი დარტყმებისათვის მოემზადა.

მაგრამ... გზაზე რაღაც აკაკუნდა. რატომღაც მოეშვა გოლოვენის ხელი. და ვიღაცამ მრისხანედ და ბრძანებით შესძახა:

— არ გაბედო!

თვალი რომ გაახილა, დიმკამ პირველად დაინახა ცხენის ფეხები—ცხენის ფეხების მთელი ტყე.

ვიღაცის ძლიერმა ხელმა ასწია იგი მხრებით და მიწაზე დაიყენა. მხოლოდ ახლა გაარჩია მან გარშემოსვეული ცხენოსნები და შავად ჩაცმული მხედარი, მკერდზე წითელი ვარსკვლავით, რომლის წინაშეც დაბნეული იდგა გოლოვენი.

— არ გაბედო!—გაიმეორა უცნობმა, დიმკას ნამტირალევ სახეს შეხედა და დაუმატა: — ნუ სტირი, ბიჭუნავ, და ნურც გეშინია. ის ხელს აღარ გახლებს არც ახლა და არც შემდეგ.—ერთ-ერთ მხედარს თავი დაუქნია და რაზმთან ერთად წინ გასწია.

ერთი ჩამორჩა რაზმს და მკცრად ჰკითხა:

— ვინ ხარ შენ?

— აქაური.—მოღუშულად მიუგო გოლოვენმა.

— ჯვარში რატომ არა ხარ?

— ჩემი ხნისანი არ გაუწევეიათ.

— გვარი?!.. უკან დაბრუნებისას შევამოწმებთ.— მხედარმა დეზი ჰკრა და ცხენი ადგილიდან ოთხით დაიძრა.

და დარჩა გზაზე ჯერ კიდევ გონსმოუსვლელი და შეფიქრიანებული დიმკა. მოიხედა უკან — არავინაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოიოხვდა—აღარც გოლოვენია, წინ გაიხედა და დაინახა: წითელი რაზმი, რომელიც მხოლოდ შავ მოძრავ წერტილებადღა მოჩანდა და სადაც არის მორიზონტს მიეფარებოდა.

2.

თვალებზე ცრემლი შეაშრა. თანდათან გაუყუჩდა ტკივილი, მაგრამ დიმკას შინ წასვლისა ეშინოდა და გადაწყვიტა მოეცადა, ვიდრე დაღამდებოდა და ყველანი დასაძინებლად დაწვებოდნენ. მდინარისაკენ გასწია. ნაპირ-ნაპირ ბუჩქებქვეშ წყალი მოქმედ მშვიდი იყო, შუა დინებაში მოვარდისფროდ კრიალებდა და წყნარად თამაშობდა, გადარბოდა მარჩხ, ქვიან ფსკერზე.

მდინარის გაღმა, ნიკოლსკის ტყის პირზე, მკრთალად აკიაფდა კოცონი. დიმკას იგი რატომღაც მეტად შორეული და იდუმალი ეჩვენა. „ვინ შეიძლება იყოს? გაიფიქრა მან—მწყემსები?.. შესაძლებელია ბანდიტები, ვახშამს აკეთებენ — კარტოფილს ქონით, ანდა რაიმე სხვას“... დიმკას ძლიერ შიოდა.

ბინდში ცეცხლი სულ უფრო მეტად ძლიერდებოდა და შორიდან ალერსიანად ბუტუტავდა. მაგრამ კიდევ უფრო მეტად იღუშებოდა, ბნელდებოდა ნიკოლსკის შეფთიანი ტყე.

ბილიკზე რომ ჩადიოდა, დიმკა უცებ შედგა: მოსახვევს იქით, მდინარის ნაპირთან ვიღაც მაღალი კრინით მდგრადა; როგორღაც უცნაურად, თუმცა ლამაზად მარცვლავდა სიტყვებს.

„უჰ, შენი გულისა! როგორ გაადა!“ — აღტაცებით გაიფიქრა დიმკამ და სირბილით დაეშვა დაბლა.

მდინარის ნაპირზე დაინახა პატარა, გამხდარი ბიჭი, რომელიც გაცვეთილი ჩანთის გვერდით იწვა. ფეხის ხმის გაგონებაზე, მან სიმღერა შესწყვიტა და შიშით შეხედა დიმკას:

— შენ რა?

— არაფერი... ისე!

— ააა!—გაბმით თქვა მან, როგორც სჩანს კმაყოფილმა პასუხით.—მაშასადამე ჩხუბს არ აპირებ?

— რაა?

— ჩხუბს არ აპირებ მეთქი? ეეუბნებიან... თორემ უყურე! პატარა კი ვარ, მაგრამ მოგიგერიებ.

დიმკა სრულებით არ აპირებდა ჩხუბს და თავის მხრივ ჭკეთხა:

— ეს შენ მღეროდი?

— მე.

— ვინა ხარ შენ?

— ყიგანი,* —ამაყად მიუგო მან.—ყიგანი ქალაქიდან... მეტსახელი მაქვს ასეთი.

ბალახებზე მოწყვეტით რომ დაეცა, დიმკამ შენიშნა, როგორ შეშინებულად გაიწია ბიჭმა განზე.

— შენ ყიგანი კი არა, ხარახურა ხარ... განა შენისთანა ყიგანებიც არიან? აი, სიმღერებს კი კარგად მღერი.

— არ გაბედო!

— მე, ძმაო, ბეჯნაური ვიცი. რკინიგზის სადგურებზე, ეშელონებზე, ნიადგ ვმღეროდი. სულ ერთია წითლების ვუმღეროდი, პეტლიურელებს თუ სხვა ვინმესს... თუ ამბანაგებს, მაშინ ვთქვათ „ალეშაშას“ ან ბურჟუების შესახებ. თუ თეორებს—აქ უკვე სხვაა საქმრა: „რანში ბილი დენეშკი ბილი ი ბუმაშკი“, „პოგიბლა რასეია“, მერე კი „იაპლიჩკოს“ მივაყოლებდი, თუმცა ეს ორივე მსარეს შეიძლება იმღერო, მხოლოდ სიტყვებს უნდა გადასმა.

ერთსანს სდუმდნენ.

— აქ რატომღა ჩამოხვედი?

— ნათლია მყავს აქ, ბებია ონუფრიხა. ვიფიქრე, ერთ თვეს მაინც მეჯერებინა გული ქამით, მაგრამ გაგიგონია! მეთხრა ერთიორი კვირის შემდეგ შენი ფეხი აქ აღარ ვნახოო!

— შემდეგ საით?

— სადმე. სადაც სჯობს,

— მაინც სად?

— სად? ეგ რომ ვიცოდე მაშინ რაღა მიქირს! მოძებნა უნდა.

— დილით მდინარესთან მოდი, ყიგან, კობორჩალები დავიჭიროთ!

— არ მომატყუებ? აუცილებლად მოვალ! — კმაყოფილებით მიუგო მან.

---

* ყიგანი ნიშნავს გაიქეცრას.

დიმკა ლობაზე გადახტა, ჩაბნელებულ ეზოში ფარულად შევიდა და პარპაზზე მჯდომი დედა შენიშნა. იგი მივიდა მასთან, თავსაფარზე მოსწია და სერიოზულად უთხრა:

— დედი, ნუ გამიჯავრდები... მე განგებ არ მოვდიოდი გვიანობამდე, იმიტომ, რომ გოლოვენმა მაგრა მცემა.

— ეგ ცოტაა შენთვის!—მიუგო მან და შემობრუნდა.—მეტიც გეკუთვნოდა.

მაგრამ დიმკას დედის სიტყვებში ნაღველიც ესმის, წყენაც და სიბრალულიც, მრისხანება კი—არა.

* * *

როგორღაც მოვიდა მდინარესთან მეტად მოწყენილი დიმკა.

— გავიქცეთ, ეიგანმ!—შესთავაზა მან.—გადავიკარგოთ სადმე აქედან. რაც შეიძლება შორს. კარგი?!

— დედა გამოგიშვებს?

— სულელი ხარ, ეიგან! როდესაც გარბიან, არავის ეკითხებიან. გოლოვენი გაბოროტებულია, ჩხუბობს. ჩემს გამო დედას და ტოპს სახლიდან აგდებს.

— ვინ ტოპს?

— ჩემს პატარა ძმას. სიიერელის დროს უცნაურად ამაკუნებს ფეხებს... მო და ტოპი შეარქვეს. ეს, ისედაც ყველაფერი მოპწყინდა. აბა, რაა სახლში?

— გავიქცეთ,—გამოფოფხლებულად ალაპარაკდა ეიგანი. — მე რატომაც არ უნდა გაყოქცე? თუნდაც ახლავე. ეშელონებს ჩამოვეკიდეთ და ფაფს შევაგრძვებთ.

— როგორ შევაგრეოვებთ?

— ასე: ვიმალერეს ორიანეს, შემდეგ ვიტყვი: „ყველა ამსანაგს უძღებლესი ჩემი სალამი, ეკმოიდეთ ფრონტზე ნაცვლად ბრძოლებისა გართობა, მიეცეთ პური ორი ბორკანქა, თამბაქო მერეკედი, გზაზე არ შეეხეთ დროდადრო არც ტყვიაძგერეკვეი და არც ზარბაზანი". ისინი რომ სიცილს დაიწყებენ, უმალვე ქუდი უნდა მოიხადო და თქვა: „მოეკლალენო, იყავით კეთილნი, მიეცით ბავშვს ზრდის გასაძრწყელი".

დიმკა გაიოცა იმან, რომ ეიგანი ასე ადვილად და დაჯერებით ისროდა ამ ფრაზებს, მაგრამ არსებობის ასეთი საშუალება არცთუ ისე მოეწონა. და თქვა, რომ გაცილებით სჯობს მოსაცილად შეხვიდე რომელიმე რაზმში, ან ჩამოიაყალიბო საკუთარი, ანდა, პარტიზანად წასვიდე. ეიგანი არ ეწინააღმდეგებოდა; პირიქით, როდესაც დიმკამ კეთილგანწყობილად მოიხსენია წითლები, „რადგან ისინი რევოლუციის მხარეზე არიან", გამოირკვა, რომ ეიგანს უკვე უმსახურნია წითლებთან.

დიმკამ მას გაკვირვებით შეხედა და დაუმატა, რომ მწვანეებთანაც არა უშავს, „რადგან ისინი ბატეს ბლომად სჭამენ". დამატებით, აქვე გამოირკვა, რომ ეიგანი მწვანეებთანაც ყოფილა სამსახურში და იქ რეგულარულად ღებულობდა თავის ულუფას — ნახევარ ბატს დღეში.

გაქცევის გეგმას დიდხანს და გულდასმით ამუშავებდნენ. ეიგანის წინადადება: გაქცეულიყვნენ ახლავე, ისე, რომ სახლში არც შეევლოთ, გადაჭრით იქნა უკუგდებული.

— უპირველესად ყოველისა, პური მაინც უნდა წავიღოთ, რომ პირველ ხანებში გვეყოს, — განაცხადა დიმკამ,—თორემ სახლიდან გავალთ თუ არა, მეზობლებში კარდაკარ უნდა ვითხოვოთ. მეკითხეს, ასანიოს.

— კარგი იქნებოდა, კარდაკარ რომ გვქონოდა. ყანაში კარტოფილს ამოვთხრიდით და ეგეც შენი სადღილი!

დიმკას გაახსენდა, რომ გოლოვენმა სპილენძის მაგარი კარდალა მოიტანა. ბებიამ ის ნაცრით გაშინდა და როდესაც სადღესასწაულო სამოვარივით აანრილა, საკუკნაოში შეინახა.

— ოლონდ დაკეტილია, გასაღები კი თან დააქს.

— არა უშავს,— განაცხადა ეიგანმა. — საბეროების შემთხვევაში ცხრაკლიტულიდანაც შეიძლება გამოტანა, ოლონდ მიჩვევაა საჭირო.

გადაწყვეტეს ახლავე დაიწყოთ სურსათის მომარაგება. დიმკამ შესთავაზა ფარდულებთან ჩალაში დამალნაო.

— ფარდულებთან რატომ? — შეესიტყვა ეიგანი. — შეიძლება სადმე სხვაგან... თორემ, მკვლერების გვერდით!

— მერე შენ რას გიშლიან მკვლრები?— დაცინვით შეეკითხა დიმკა.

იმავე დღეს დიმკამ ქონის პატარა ნაბერი მოიტანა, ეიგანმა კი—ქაღალდში საგულდაგულოდ შესვეული სამი ლერი ასანთი.

— ბეერი არ შეიძლება, — განმარტა მან. — ონუფრისას სულ ორი კოლოფი აქვს, ისე უნდა გაიკითოო, რომ შეუშმნეველი დარჩეს.

და ამ წუთიდან გაქცევა საბოლოოდ გადაწყდა.

ირგვლივ შფოთავდა და ბობოქრობდა ცხოვრება. საღამოც ასპოს გადგოდა დიდი ფრონტის ხაზი, კიდევ უფრო ახლოს რამდენიმე უფრო პატარა, მერე ხარისხოვანი. ირგვლივ წოთელარმიელები დასდევდნენ ბანდებს, ან ბანდები წოთელარმიელებს, ან ატამანები ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს. ძლიერი იყო ატამანი კოზოლუპი. ჯიუტ შუბლზე ირიბად მიუყვებოდა ნაოჭი. თვალები კი შეპაღარავებულ წარბებქვეშოდან მძიმედ იყურებოდნენ. პირქუში ატამანია! ეშმაკივით ცბიერია ატამანი ლევკა. მისი ცხენიც კი იცინის და მასავით კრეჭს თვრა ეპლეს. მას შემდეგ, რაც მან კოზოლუპის ხელქვეითობას თავი დაალწია, პირველად ფარული, შემდეგ კი აშკარა მტრობა გაიმართა მათ შორის.

დაწერა კოზოლუპმა ბრძანება მოსახლეობის მიმართ: „არ მისცეთ ლევკას არც ქონი ლაშქრისათვის, არც თივა ცხენებისათვის, არც ქოხები ღამის გასათევად".

ლევკამ გაიცინა და სხვა ბრძანება დაწერა.

წითლებმა წაიკითხეს ორივე ბრძანება და დაწერეს მესამე: „კოზოლუპი და ლევკა გამოცხადებულ იქნან კანონგარეშე".—და გათავდა. ბეერი წერისთვის დრო არ მეჭოდაო, რადგან მთავარ ფრონტზე საქმე არცთუ ისე კარგად მიდიოდა.

და დაიწყო ისეთი რამ, რისი გარჩევაც ძნელია. აი, თუნდაც ბაბუა ზახარიას სამი ოთახ მონაწილეა და ისიც კი, მიწაყრილზე რომ ჩამოჯდებოდა, მწვთერი ძალლის გვერდით, რომელსაც მთვრალმა პეტლიურელმა ხმლით ყური წაათალა, ამბობდა:

— რა დროებაა!

ღღეს მოვიდნენ მწვანეები, ოცი კაცი. ორმა გოლოვენთან შეიარა. ხორაოცოტდნენ და სვამდნენ ზღვრიე, მაგარ არაყს.

დიმკა ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა მათ.

როდესაც გოლოვენი წავიდა, დიმკამ, რომელსაც დიდი ხანია სურდა არყის გემოს გაგება, ნარჩენები ყველა ჭიქიდან ერთში გადაასხა.

— დიმკა, მეც! — აწუწუნდა ტოპი.

— დაგიტოვებ, დაგიტოვებ!

მაგრამ როგორც კი მოსცა, უმალვე გარეთ გამოვარდა, თან სასოწარკვეთილებით იფურთხებოდა.

ფარდულებთან ყოველი დაუცდა.

— მე, ძმაო, ერთი ამბავი ვიცი.

— რა ამბავი?

— ჩვენი ქოხის უკან მწვანეები ეზაზე ორმოს თხრიან, ეშმაკმა იცის რისთვის. ალბათ ამისთვის, რომ ვერავინ გიიაროს.

— როგორ შეიძლება რომ არავინ გაიაროს,—იკვეთ, შეესიტყვა დიმკა, — აქ რაღაც სხვაა. უთუოდ რაღაც განუზრახავთ.

წავიდნენ თავიანთი მარაგის სანახავად. მარაგი ჯერ კიდევ ცოტა იყო: ორი ნაპერი ქონი, მოხარშული ხორცის ერთი ნაპერი და ასანთის ათიოდე ღერი.

* * *

იმ საღამოს ნადეჟდინსკის მინდვრებთან მზე ვეიბა მოწითალო ბერთიგით ჩაეკიდა პორიზონტზე და ნელ-ნელა აუჩქარებლად ჩადიოდა, თითქოს შემხარდა დედამიწის მეუდრეობას.

შორს, ოლხოვკაში, რომელიც ნიკოლსკის ტყის პირს ეკვრის, რამდენიმეჯერ გაისმა ზარის რეკვა, მაგრამ არა საგანგაშო, არამედ ისე, უბრალოდ—წყნარი, მშვიდი. და როდესაც ეს ბოსი, მთრთოლვარე სმები ჩალის ბერეულებს გაცდნენ და ბაბუა ზახარის ყურებამდე მიაღწიეს, იგი ცოტა არ იყოს გააკვირვა მშვიდმა რეკვამ. კარეკი ხანია ალარ გაეგონა ასეთი რეკვა; აუჩქარებლად გადაიწერა პირველვარი და მაგრად დაჯდა თავის ადგილზე, გადაბრეცილი პარმაღის გვერდით. როცა დაჯდა, გაიფიქრა: „ნეტავ რა უქმია ხვალ?“ ფანჯარას ჯაფი მიუკაკუნა და დედაბერს, რომელმაც იქიდან გამოიხედა, ჰკითხა:

— ეორპინა, ჰა, ეორპინა, ხვალ კვირაა თუ?

— რას ამბობ, მოხუცო! — უკმაყოფილოდ მიუგო უქვილში ამოგანგალულმა ეორპინამ.—განა ოთხშაბათის შემდეგ კვირაა?

— მეც ასე ვფიქრობ...—და შეეკვეთა ბაბუა ზახარი ტუფილად ხმამ არ გალაიწერა პირველვარი, რაიმე ცუდის მომასწავებელი ხომ არ არის ეს ზარის რეკვა.

დაუკროლა ნიავმა, ოდნავ შეურხია ჭალარა წვერები, და ბაბუა ზახარმა დაინახა, როგორ გამოეცვეს თავები ცნობისმოყვარე დედაკაცებმა ფანჯრებიდან. როგორ გამოცვივდნენ ბავშვები ეიშკრებიდან. ხოლო მინდვრებიდან მოისმა რაღაც გაბმული, უცნაური ხმა, თითქოს ნახირში ხარმა ან ძროხამ დაიბღავლაო, მხოლოდ უფრო მკვეთრად და გაბმით.

— უო—უუ-უუუ...

შემდეგ, უცვე, ბაერში ისე იტეკა, საძოვრების ახლოს

კარი გაიღო და ქოხში შეიარაღებული გოლოვენი შემოვიდა.

გასროლის ისეთი ძლიერი ხმა გაისმა... რომ ერთბაშად რახუნით დაიხურნენ ფანჯრები, ეუჩებიდან გაჰქრნენ ბავშვები. მხოლოდ შეშინებულმა მოხუცმა ვერ შესძლო წამოდგომა და დაძვრა, ვიდრე ეორპინამ არ დაუყვირა:

— დროზე, სულელო ბებერო! ვერ ხედავ რა ამბავი ხდება.

დიმკას კი ამ დროს გული ამოვარდნაზე ჰქონდა, უნდოდა ეუჩაში გამოვარდნილიყო, გაეგო რა ხდებოდა ოქ. თან ეშინოდა რადგან დედა გაფითრდა და ჩუმად, შეცვლილი ხმით უთხრა:

— დაწექი, დაწექი... იატაკზე დაწექი, დიმუშკა, ღმერთო ჩემო, ოლოსდაც ქვეშეზებიდან არ დაიწყონ!

ტოპს თვალები გაუფაფრთოვდა, თავით მაგიდის ფეხს მიეკრა და იატაკზე გაირინდა. მაგრამ უხერხულად იწვა და ტირილით თქვა:

— დედი, იატაკზე არ მინდა, ღუმელზე მირჩევნია.

— იწექი, იწექი! აი ბაიდამაკი მოვა და გიჩვენებს!

იმავე წუთს რაღაცამ განსაკუთრებით მაგრად იგრიალა, ისე რომ ფანჯრის მინები აზრიალდნენ და დამ-

კას მოეჩვენა, რომ მიწა იძრა. „ყუმბარებს ისვრიან!“ გაიფიქრა მან და მოესმა—ჩაბნელებულ ფანჯრებთან როგორ ყვირილითა და ბრაგაბრუგით გაირბინა რამდენიმე კაცმა. ყველაფერი მიწყნარდა. კიდევ ნახევარი საათი გავიდა. წინკარში ვიღაც აბრახუნდა. ცარიელ სალონს რომ წაეწყდა, შეიგინა. კარი გაიღო და ქოხში შეიარაღებული გოლოვენი შემოვიდა.

ის რაღაცით ძლიერ იყო გაბოროტებული, რადგან წყლით სავსე კუთები ერთბაშად რომ გამოსცალა, შაშხანა გულმოსწყლად კუთხეში მიაგდო და დაუფარავი ბოღმითა და სინანულით თქვა.

— უმ, მაგისი!..

* * *

დილით ბავშვები ადრე შეხვედნენ ერთმანეთს.

— ყიგანა,—ჰკითხა დიმკამ.—არ იცი გუშინ რაზე... ვის ებრძოდნენ?

ყიგანს მკერიცხლი თვალები თვითკმაყოფილებით გაუბრწყინდა და მედიდურად მიუგო:

— ო, ძმაო, გუშინ მაგარი ამბები გვქონდა...

— შენ ნუ სტყუი ოღონდ! მე ხომ დავინახე, რომ შენც მაშინვე ბოსტნებს უკან გაუტიე.

— შენ რა იცი? იქნებ მე ირგვლივ შემოვუარე! — იწყინა ყიგანმა.

დიმკა ამაში ძლიერ დაეჭვდა, მაგრამ არ გააწყვეტინა.

— გუშინ მანქანა მოდიოდა, ის ოლხოვკაში შეაკეთეს. მანქანა იქიდან რომ წამოვიდა, დიაკონმა გავრილამ უმალ ზარები დარეკა... მაშასადამე სიგნალი მისცა.

მერე?

— მერე და მერე... სოფელს რომ მოუახლოვდა, თოფები დაუშინეს, უკანვე დააპირა მაგრამ—გალავნის კარი უკვე დეკეტავთ.

— მერე დაიბრუნეს ვინმე?

— არა... იქიდან ისეთი სროლა ასტეხეს, რომ ახლოს ვერ მიუდგებოდი. ნახეს, რომ საქმე ცუდად იყო და გაიფანტ-გამოიფანტნენ. სწორედ მაშინ დახოცეს. ერთი კი გაიქცა. იქვე ახლოს ყუმბარა ისროლა და ინფერნახას ქოხის სარკმელებს სულ შუშები ჩაულეწა. თოფებიდან ესროდნენ, მისდევდნენ, ის კი ღობეს გადაეცალა, ბოსტნებზე გადაირბინა და გაიქცა.

— მანქანა?

— მანქანა ახლაც აქაა... მხოლოდ უვარგისია, იმიტომ, რომ გაქცევის წინ ერთმა ყუმბარა სთხლიშა. მთლად დაამახინჯა. მე უკვე ვიყავი... მაგრამ ფედა მარინმა მიმახსწრო და საყვირი მოიპარა. რეზინს დააჭერ და ისე აყვირდება, რომ...

მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ გუშინდელ ამბავზე იყო ლაპარაკი. მწვანეები ჯერ კიდევ ღამით წავიდნენ. და პატარა სოფელი კვლავ ხელისუფლების გარეშე დარჩა.

* * *

ამასობაში გაქცევის სამზადისი დასასრულს უახლოვდებოდა. ახლა მხოლოდ კარდალას მოპარვაღა იყო საჭირო, რაც გადაწყვეტილი იყო ხვალ საღამოსათვის, ლერსმნიანი გრძელი ჯოხის საშუალებით, რომელსაც ბოსტნის მხრიდან პატარა სარკმელში შემყოფდნენ.

ყიგანი სადილის საშემლად წავიდა.

დიმკას გული არ უდგებოდა და ფარდულისკენ გასწია, რომ ყიგანს იქ დალოდებოდა.

(გაგრძელება იქნება) თარგმნა **ბ. შელიამ**

ყ ა ნ ა

ღელავს ყანა, დიდი ყანა,
დააცხუნე მზეო, მზეო!
ჩააშუქე ყველგან სხივი,—
თავთავს ქვემოთ, თავთავს ზემოთ!

ბრწყინავს ყანა, ოქროს ყანა,
მზის ალმური ეკიდება,
ნიავ-ქარის აქოჩრილი
ტალღა ტალღას ეჭიდება!

ღელავს ხალხის გულში ნატვრად
სასოებით ნატარები...
კომბაინი აგუგუნდა
და შეშფოთდნენ თავთავები!

ბრწყინავს ჩემი დიდი ყანა,
ეჯიბრება ტალღა ტალღას.
მწყურებიც ისე დაგვისუქდნენ,—
ძლივს დაფრენენ ყანის მაღლა!

ღელავს ყანა, ვრცელი ყანა,
ღელავს, როგორც დიდი გული,
სიკეთისთვის, მშვიდობისთვის
მიწის მკერდზე დასახული!

მაშ, გაუმქრალ ბრწყინვალებით
დააცხუნე მზეო, მზეო!
ჩააშუქე ყანას სხივი
თავთავს ქვემოთ, თავთავს ზემოთ!

ალექო შენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ახალგაზრდა პოეტები

სტალინგრადი

ქალაქი,—მრავალ ქალაქის მხსნელი,
ჭრილობიანი, ნაბრძოლი ხელით
უხმოდ იკერებს აწყვეტილ ღილებს,
ღილებს, რომელიც ქუჩებში ჰყრია;
მე სტალინგრადში ქუჩა ვიხილე,
მშვიდობის ქუჩა რომელსაც ჰქვია.

მე ამ ქუჩაში ვიარე დიღხანს;
იდგა ქალაქში ამინდი მშვიდი.
„მშვიდობა!“
აი, ეს ერთი სიტყვა,—
შინაარსია აქ ყოველ სიტყვის.

მუხრან მაჭავარიანი

კორმეული პიონერი

მოუკლეს დედა, სახლი დაუწვეს,
ნაღმმა ღმუილით იელვა ბნელში,
დამარხა დედა და მერე უკვე
სანგარში იდგა ის თოფით ხელში.

ქარი ურხევდა წითელ ყელსახვევს,
მისი ბავშვობა სიმღერად იქცა.

მერე ის სისხლით დაცლილი ნახეს,
ჩახუტებოდა საყვარელ მიწას.

არ დაუხრია მას თოფი დაბლა,
არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი,
ასე კვდებოდა ოლეგიც ლბათ,
ქერათმიანი პატარა ბიჭი.

ოთარ ჭილაძე

პიონერთა სასახლე

რუსთაველის გრძელი ქუჩა
ჩასავლელი ერთი თრთოლვით;
ხეივანი თმახუჭუჭა,
აკაციის თეთრი თოვლი,

პიონერთა დიდი სახლი
ზედ ბერიას მოედანთან...
ისევ მინდა მისი ნახვა,
ისევ ისე მომენატრა.

ისევ ტოლთა ხმები მესმის,
ძლივს შევაღე მძიმე კარი,
და სტალინზე ჩემი ლექსი
მკერდზე ფრთხილად მივიკარი.

კვლავ სცენაზე აგვიყვანეს
და კამათით არ ვიღლებით.
გახსოვს? თეთრი აივანი,
ზედ ცისფერი ყვავილები...

ბუემაღალი, დიდი სახლი
ზედ ბერიას მოედანთან.
ისევ მინდა მისი ნახვა,
ისევ ისე მომენატრა.

როგორ მიყვარს ერთი ათად
მისი გზა და შესახვევი,
მან ცხოვრება გამინათა
ალისფერი ყელსახვევით!

ნაზი კილასონია

ლეო ქიაჩელი

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

პირველი ნადირობა

რედაქციისაგან

სტალინური პრემიის ლაურეატი, ცნობილი ქართველი მწერალი ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი ამთავრებს და უახლოეს ხანში ცალკე წიგნად გამოსცემს თავის ახალ დიდ სბავშვო მოთხრობას— „დაგვიანებული საგზალი“.

„დაგვიანებული საგზალი“ სოფლის პიონერთა ცხოვრებას ასახავს; მოთხრობაში ნაჩვენებია საბჭოთა სკოლა, ნორჩ ნატურალისტთა საქმიანობა, საკოლმეურნეო შრომაში პიონერების აქტიური მონაწილეობა.

ჟურნალი „პიონერი“ გამოაქვეყნებს ლეო ქიაჩელის ახალი მოთხრობიდან რამდენიმე თავს.

თენდებოდა, როცა კოლმეურნე მონადირეები სოფელ მაშენის განთქმულ ტყეს ეწვივნენ.

განდიათის სუსტ სინათლეს ღამის სიბნელე ტყის პირზე უკვე გაეფანტა და ახლა ნელნელ მიიკაფავდა გზას მისი სიღრმისკენ.

მაღალი ხეების კენწეროებზე ნისლის ნაფლეთები ირეოდნენ, მოძალებული სინათლისათვის ვერ გაეძლოთ და ჰაერში კვამლივით ჰქრებოდნენ. ამით გახარებულ ჩიტებს საამო ჟივილი აეტეხნათ კუთხით კუთხემდე, თითქოს ბზეს უხმობენო:

ჩქარა, ჩქარა ამოდი, მზეო, გვენატრებიო.

დღის სინათლის კვალს მონადირეებიც მიჰყვნენ ტყის სიღრმისკენ. კარგა დიდხანს იარეს, მერე დანაწილდნენ: მარეკები ძაღლების თანხლებით თავიანთ გზას გაუდგნენ, მახუნდარები ცალკე წავიდნენ.

რა შეხედა მერგოლურმა იასონ თაბაძემ უსიერსა და ნახევრად ბნელ ტყეს, შეფიქრიანდა. ჭკუაში არ დაუჯდა, რომ შვილს ხათრი ვერ გაუტეხა და სანადიროდ წამოიყვანა. არც ის მოეწონა, რომ ყმაწვილი მარეკებს გააყოლა.

„უფროსებს რომ შემთხვევით დასცილდეს და უცნობ ტყეში მარტო დარჩეს, ვინ იცის, რა მოუვა?! სჯობს ჩემთან ვიყოლიოო.“—გაიფიქრა; შეაჩერა მარეკები, შვილს უხმო და გვერდში ამოიყენა.

ერთად ვიყოთ მე და შენ, დათო... ნადირს ჩემთან უფრო დაინახავო.

დათოს არ მოეწონა მამის წინადადება. თავის მწვრთნელ ზოსიმესთან, მეგობარ თადეოზთან და ერთგულ ძაღლთან—მერცხალასთან ყოფნა ერჩია. მათთან თავს უფრო თავისუფლად იგრძნობდა. მაგრამ მამას

ხათრს ხომ ვერ გაუტეხდა,—სამივე მეგობარი დასთმო და მამისათვის სიტყვა არ შეუბრუნებია.

ტყის გულიც მალე გაანათა შიგ შეჭრილმა სინათლემ. მაღლიდან ანკარა წყალივით ჩამოღვრილი ნათელი ჯერ ხეების შორიახლო დგებოდა, მერე გაბაშლა და ჩირგვებსა და ბუჩქებსაც შეეფინა.

მარტონი მიდიოდნენ მამა და შვილი. სდუმდნენ. ლბილ ნაყარზე მიაბიჯებდნენ და მათი ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

დათოს თავი ვეკაცად მიაჩნდა, იგი თავის პიონერრაზმშიც პირველ ფიზკულტურელად ითვლებოდა, მაგრამ გარშემო გამეფებულმა ტყის საიდუმლო გულჩათხრობილებამ უცნაური გრძნობა აღუძრა, რომელიც შიშს უფრო ჰგავდა. ეს გრძნობა მისგან სიფრთხილეს მოითხოვდა, თითქოს გაურკვეველი საშიშროება ყოველ ხეს ამოფარებია და მას ფარულად უთვალთვალებსო. დათოს ეჩვენებოდა, რომ ჩვეულებრივად უძრავი და მუნჯი ხეები ახლა არც ისე უძრავი და მუნჯები იყვნენ; ვერ გამოერკვია, თვითონ მას გადაურბოდა თვალი ერთისაგან მეორეზე, თუ ხეები იცვლიდნენ ადგილს.

ირგვლივ უცნაური ფუსფუსი და ყრუ შრიალი ისმოდა. ერთიც და მეორეც საიდანღაც შორიდან მოდიოდა. ხან სუსტდებოდა, ხან ძლიერდებოდა. დათოს შიშის გრძნობა უფრო და უფრო იპყრობდა.

დათო არ უმხელდა მამას, რაც მის თავს ხდებოდა—ლაჩრად არ ჩამთვალოსო. აინტერესებდა, ნეტავი მამასაც თუ ესმის საიდუმლო ფუსფუსი და მასაც ჩემსავით თუ ეშინიაო.

დათოს ბედზე მალე ატყდა ტყეში ძაღლების ყეფა და წკაგწკავი. ამას მოჰყვა მარეკების ისეთი ყიჟინა, თითქოს ცამ ჭექა-ქუხილი დაიწყო და მიწა შეიძძრაო. დათოს გულზე მოეშვა. უცნაური სისინი და შრიალი ისე გაჰქრა, თითქოს არც ყოფილაო.

იასონი შედგა ერთ ამონაყარს-მიფარებულ ფოსოს წინ. უმალვე შიგ ჩადგა და დათო ზურგს უკან ამოიყენა.

— ხომ გესმის, დათო, ამხანაგები ნადირს უკვე ერეკებიან. მზად უნდა ვიყოთ.—უჩურჩულა მან შვილს.—შენ იმ მხარეს იცქირე... თუ დაინახო ნადირი, ან ყური მოჭკრა საეჭვო გაშრიალებას, მაშინვე ხელი მკარი ზურგზე უხმოდ... უხმოდ მეთქი, იმიტომ გეუბნები, რომ ნადირს საოკანი სმენა აქვს... ადამიანისაზე გაცილებით უფრო მახვილი... ეს წიგნიდანაც გეცოდინება... თუ თვალი მოჭკრა, არ იფიქრო, აქაო და თოფი ხელში მიეჭირავს და ვესვრიო. არამცდაარამც! შენმა ფილთამ, იქნება, ნადირს დიდი ვერაფერი დააკლოს, მე კი ხელს შემიშლის, დაეჭრილი მხეცი მეტად საშიშია. ეს იცოდე... ნუ აჩქარდები, მიბიძეე უმალ, თუ დაინახო, მერე მე ვიცი. თუმცა არ მგონია, შენს მხარეს გამოჩნდეს ნადირი... ჩემს პირდაპირ მოეერეკებიან.

მარეკების ყიჟინა და ძაღლების ყეფა ჯერ კიდევ შორიდან ისმოდა, მაგრამ თანდათან ახლოვდებოდა.

დათოს ყველაზე უფრო მკაფიოდ და ხშირად მერცხალს ყეფა ესმოდა. იქნებ ასე იმიტომ ეგონა, რომ ყველაზე უფრო მის ხმას იცნობდა. მაგრამ იასონსაც მიექცია ყურადღება მერცხალს ყეფისათვის.

— გესმის, რა ამბავი აქვს ჩვენს მერცხალს, დათო? ფიცხია შეჩვენებული, ჭკუას კარგავს, ნადირის სუნს რომ აიღებს.

ნადირის გამოჩენის მოლოდინში დათოც ღელავდა. მთელს ტანში კანკალი შესდგომოდა. ძალაუნებურად აგონდებოდა შაშვზე ნადირობა.

„რა შედარებააო, ფიქრობდა თავისთვის,—ნამდვილი ნადირობა ეს ყოფილაო“.

მაგრამ ამის გაფიქრება ვერც კი მოასწრო, რომ სმენა საეჭვო ჩქამმა მოსტაცა. იგი თითქოს მისგან ახლოს გაისმა.

სმენას უმალ თვალიც მიაშველა.

არც ისე შორს, მაგრამ არც ახლოს, მის პირდაპირ ბუჩქის ტოტი შექანდა. ცხადი იყო, ეს არ იყო ქარის მიერ გამოწვეული, რომელიც ტყეში ოდნავადაც კი არ ჭროდა.

„რა უნდა იყოსო?“—გაიფიქრა დათომ და ბუჩქს დააკვირდა.

დათოს თვალწინ საკვირველება მოხდა: ის ბუჩქი მალე ვეება, ბანჯგვლიან მხეცად გადაიქცა, რომელიც ადამიანივით ფეხებზე იდგა, ენა გადმოეგდო და ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ იხედებოდა,—ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს ვიღაცას უხმობსო.

დათო გაშეშდა.

ის ისე ღელავდა, რომ ფერი არ ჰქონდა და სულს ძლივს ითქვამდა.

—დათვი!—უცბოდ გამოესახა შეგნებაში.

შიშის ზარი დაეცა, მოძრაობის უნარი დაკარგა, მაგრამ იმდენი ვაჟკაცობა მაინც გამოიჩინა, რომ მკერდიდან დაძრული „ვიამე“ პირიდან არ ამოუშვა და გონს მალე მოვიდა; წამით დაეწყებული ნიშნის მიცემა მოაგონდა, ზურგით მიეკრა მამას და უბიძგა. ალბათ, გარემოების შესაფერისი იყო მისი ბიძგი, რომ იასონი შეკრთა.

„რა უნდა მომხდარიყო“,—გაუელვა და ფიცხლად შეილისკენ მიტრიალდა.

ელდა ეცა.



მათ წინ მუქი წაბლისფერი ბანჯგვლით შემოსილი, შავდინგიანი ნამდვილი დათვი იდგა, უკანა ფეხებზე შემართულიყო. იასონმა შეხედვისთანავე შენიშნა, რომ მხეცი ძალზე შეშინებული იყო, თვალებს აცეცებდა და არ იცოდა საით წასულიყო. იმავე წამში ისიც შენიშნა იასონმა, რომ მხეცს რაღაც აკავებდა ერთ ადგილზე და ამის გამო გამწყრალი ბურდღუნებდა თავისებურად.

ეტყობოდა, იასონი და დათო მას ჯერ კიდევ ვერ შეემჩნია.

პირველი, რაც საშიშროების პირისპირ მდგარმა იასონმა მოიმოქმედა, ეს ის იყო, რომ დათოს მხარზე დასტაცა ხელი, ზურგს უკან მოიგდო და თავით წინ აეფარა. ამავე დროს თვალის დახამხამებაში თოფის ორივე ჩახმახი ფეხზე შეაყენა და მხეცი ნიშანში ამოიღო. აქ შენიშნა, რომ დათვმა მხოლოდ ახლა დაინახა იგი.

ის-იყო, ნადირს წინა თათები ძირს უნდა დაეშვა გასაქცევად, მაგრამ ვეღარ მოასწრო. იასონმა შიგ გულში ზედიზედ ორი ტყვია დაახალა.

დაიღრიალა მხეცმა. ერთი შეხტომა-ღა მოასწრო იასონისკენ მიმართული, მაგრამ განგმირული მიწას დაენარცხა.

დათვის ადგომისა და გაბრძოლების ‘მოლოდინში, ის იყო იასონს ახალი ვაზნები უნდა შეეწყო თოფში, რომ სად იყო, სად არა, მის გვერდით თოფმა იტეტა.

თითქოს ეცნაურა თავისი ძველი თოფის ხმა, მაგრამ სმენას არ დაუჯერა. ნეტავი, ვინ შემეზიარა დათვის მოკვლაშიო, გაიფიქრა გაკვირვებულმა. თოფის ხმისკენ მიიხედა თუ არა, დარწმუნდა, რომ მოზიარე მისი შვილი დათო იყო და სხვა არავინ.

მან თვალი შეასწორა, რომ დათოს მარჯვენა მუხლი ჯერ კიდევ მოყრილი ჰქონდა, მეორეს მარცხენა ფიდაყვით დაყრდნობოდა და ხელში თავისი ერთლულიანი თოფი ეჭირა, იმ ადგილს დამიზნებული, სადაც დათვი დაეცა.

როგორც კი იგრძნო დათომ მამის მოხედვა, სწრაფად წამოდგა და თოფი ძირს დაუშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადგომას აპირებდა, მამა, და იმიტომ ვესროლე, — თითქოს თავს იმართლებსო, ისე უთხრა იასონს და თვალებში შეხედა, ხომ არ მიწყრებაო.

მამის სახეზე სიამაყის ღიმილი გადაწლილიყო.

— თუ ადგომას აპირებდა, უნდა გესროლა!.. ყოჩაღ!—უთხრა შვილს. მაგრამ ამავე დროს თვითონ სულ დათვისკენ იცქირებოდა, იქნებ კიდევ ცოცხალიაო.

— არ მგონია ცოცხალი იყოს, —თქვა მან დათოსკენ მოუხედავად, — ვფიქრობდი, ორმა ტყვიამ მოუღო ბოლო, თორემ სამს როგორ გადაურჩებოდა! მაინც შევამოწმებ!

დათოს უბრძანა ფეხი არ მოეცვალა ადგილიდან, თვითონ ვაზნებგამოცვლილი თოფი მოიმარჯვა და ხიდან ხეს აფარებული დათვისკენ ფრთხილად გაემართა.

* * *

ტყეში კი ამ დროს მონადირეებს დიდი აურზაური აეტეხნათ. მარეკებს თოფის სროლა ნაადრევად მოჩვენებოდათ, — ნადირი სახუნდრებისაკენ ჯერ კიდევ დაძრული არ ეგონათ, ერთმანეთს გადასძახოდნენ, რა ამბავიაო, და იმ ადგილისკენ მიიწევდნენ, სადაც თოფის სროლა გაისმა.

იასონსა და დათოს უფრო და უფრო მკაფიოდ ესმოდათ მერცხალს თავგამოდებული ყეფა. მისი ხმა ახლოს ისმოდა და მამაშვილს სწრაფად უახლოვდებოდა.

„როგორ გაიხარებს მერცხალა, როდესაც მოკლულ დათვს დაინახავს! ნეტავი, მალე მოგვაგნებდესო“, ფიქრობდა დათო და მოუთმენლად მოელოდა მეგობრის გამოჩენას.

დათვისკენ პირვით მიმავალი იასონი მიახლოებამდე დარწმუნდა, რომ მხეცი მკვდარი იყო. რა დარწმუნდა ამაში საბოლოოდ, თამამად გადადგა მისკენ ნაბიჯი.

ამ დროს ჯაგში, თითქმის მის ფეხებთან, უცნაური ფხაკანი გაისმა. იასონმა ვერ მოასწრო ძირს დახედვა, რომ ჯაგიდან გასროლილი ქვის სისწრაფით, შლიგინით გამოვარდა მიწას გაკრული პატარა ცხოველი. შეშინებული მონადირე უკან გადახტა. ვიდრე მიხვდებოდა თუ რა იყო, კინაღამ თოფი დაახალა, მაგრამ თავი უმალვე შეიკავა, რა იცნო დამფრთხალი ბელი, რომელიც მოკ-

ლულ დედას ეცა, ჯერ ფეხებში შეუვარდა, მერე ბანჯგვლიან მკერდზე მიეკრა და გაინაბა.

იასონმა აღარ დააყოვნა: თოფი იღლიაში მოიგდო, ბელს დაწვდა, ქინჩში ხელი მაგრად ჩასვიდა და მაღლა აიტაცა. მაშინვე დათოსკენ მიბრუნდა, აფართხალებული ბელი დაანახა.

— გამოიქეცი, დათო! აი, რა საჩუქარი მაქვს შენთვის!

დათომ შორიდან კარგად ვერ გაარკვია, რა ეჭირა მამას ხელში, — ცხოველი რომ იყო, ამას კი ნათლად ხედავდა.

— არ მოკლა, მამა! — მიაძახა მამას და მაშინვე მასთან გაჩნდა.

ცალკე სიხარულისა და ცალკე გაკვირვებისაგან დათოს გული ისე უცემდა, რომ ამოვარდნაზე ჰქონდა, როცა მამის ხელში ლეკვივით ფუნჩულა პატარა ბელი დაინახა, — წაბლისფერ ბეწვით შეფუთნული, რომელსაც ახალგახელილ წვრილ თვალებში უმწეობა, შიში და ბრაზი ერთად უკრთოდა.

— დათუჩა! — წამოიძახა გახარებულმა დათომ და ბელს ხელით წაეპოტინა. — მომეცი, მამა!

მაგრამ პატარა ტყიური ჯერ კიდევ განაგრძობდა ბრძოლას. დინგს აქეთ-იქით ატრიალებდა, პაწაწინა თეთრ კიჟუნებს კრეჭდა და თითებს იქნევდა; ლამის ხელიდან გასხლტომოდა იასონს.

— ჯერ თოკი ჩამომხსენ, ქამარზე რომ მკიდია... ჩანთიდან ამოალაგე, რაც შიგ აწყვია... უნდა შევკრათ, რომ არ გაგვექცეს! ხომ ხედავ, პატარაა, მაგრამ მაინც როგორ იბრძვის თავისუფლებისათვის,— აბობდა იასონი.

დათუჩა ჩანთაში ჩასვეს და თოკი მაგრად შემოაკრეს გარშემო. საცოდავს თავი და წინა თათებიღა უჩანდა გარეთ.

— ახლა კი ვერსად წაგვივა!.. გამომართვი, შენი იყოს!—მიმართა იასონმა დათოს და იშვიათი საჩუქარი გადასცა.

დათომ თავისი თოფი მხარზე გადაიკიდა, ჩანთაში ჩაკრული ბელი მარცხენა მკლავზე დაისვა და მკერდზე მაგრად მიიკრა.

— დათუჩა, დათუჩა! შე საწყალო დათუჩა!—ეალერსებოდა იგი პატარა ნადირს.

დათოს ძალიან უნდოდა ხელი გადაეცვა დათუჩას პაწაწინა, ჯიუტად აცქვეტილ ყურებზე და მოფერებოდა, მაგრამ თავს იკავებდა, რადგანაც ამჩნევდა, რომ ბელი ჯერ კიდევ ბრძოლის გუნებაზე იყო. სიტყვიერ ალერსს მაინც განაგრძობდა, რომ ამით მაინც მოეთვინიერებინა, მაგრამ ამ დროს მოახლოებულ მერცხალას ყეფამ შესძრა იქაურობა.

„რა იყო, რა მოხდა აქ, თოფი ვინ ისროლა და რა მოკლაო?“—თითქოს ამ აზრს გამოხატავდა მისი მოუთმენელი წკავწკავი. თვითონ კი ჯერ კიდევ არ ჩანდა.

— აქეთ, მერცხალა! აქ ვართ!— დაუძახა ძაღლს იასონმა.

იასონის ხმის გაგონებამ მერცხალას გაუადვილა მისკენ გზის გაკვლევა. ჯერ იასონს მოჰკრა თვალი. თითქოს ფრთები გამოესხაო, ბუჩქებს და ჩირგვებს თავს გადაეკვლო და თვალის დახამხამებაში მასთან გაჩნდა. მთელი ტანი ბირკით ჰქონდა დაფარული,— თვალები და ტუჩებიღა უჩანდა.

ძაღლი მაშინვე მივარდა იასონს სიხარულის გამომხატველი წკმუტუნით. დიდი ხნის უნახავსავით მიეგება, მაგრამ რა ეცა მხეცის სუნი, აწრიალდა, ჯარასავით დატრიალდა. დაინახა დათვი თუ არა, ჯერ შორიდან შეუტია. რაკი ხეცი არ იძროდა, მიეჭრა, დასუნა. მკვდარი რომ ნახა, თითქოს შეიცხადაო, ისევ იასონს მიეჭრა ყეფით.

მაგრამ აქ დათოს შეეჩხა. უცებ დაავიწყდა ყველაფერი. უკანა ფეხებზე შესდგა, შესახტომად მოიმართა. როცა დათოს მკერდზე მიხუტებული პატარა მხეცი დაუნახა ცოცხალი, ისეთი ყეფა მორთო, თითქოს გაგიჟდაო.

ეს რა არის! ამას რას ვხედავ? ნუთუ შენ დაიბერეო?—ეკითხებოდა ვითომ დათოს.

ბელი შეშინდა, ეს კიდევ ვინ არისო?! პირი იბრუნა მერცხალასაგან და სცადა დათოს უფრო მჭიდროდ ჩახუტებოდა. ძაღლი მაინც არ მოეშვა. მაშინ გაუწყრა თავის მეგობარს დათო:

— ხომ ხედავ, რომ შენი ეშინია! დადექი განზე!—უთხრა და მისგან თავი შორს დაიჭირა.

მერცხალას კვალს მარეკებიე გამოყოლოდნენ; არ ჩანდნენ მხოლოდ ზოსიმე და თადეოზი. მარეკებმა იასონს იშვიათი გამარჯვება მიულოცეს. ასე დაგვიმარცხოს ყველა მტერიო, უთხრეს.

დათო აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. ზოსიმეს და თადეოზს ეძებდა, მას მოთმინება არ ყოფნიდა, სანამ ისინი მისი ეაქაცობის ამბავს შეიტყობდნენ.

სად არიან ზოსიმე და თადეოზიო, ეკითხებოდა იგი მოსულებს.

თადეოზი და ზოსიმე ერთად არიან! საცაა ისინიც მოვლენო,—უპასუხეს მონადირეებმა, დათოს მკერდზე მიხუტებულ დათუჩას კი ვერ ამჩნევდნენ.

მოლოცვაზე, იასონი, მადლობის გადახდის მაგიერ, ახხანაგებს შეეკითხა:

— ამხანაგებო, ჯერ ეს მითხარით, რამდენი სროლა გაიგონეთ?

— სამი!—იყო პასუხი.

— ნამდვილად სამი!—შეორეჯერ დაადასტურეს.

— პირველი ორი ჩემი იყო. მესამე, ბოლო გასროლა კი — დათოსი! — განმარტა იასონმა მნიშვნელოვანი კილოს დატანებით.

— ვისიც იყო ბოლო ტყვია, ნადირის ტყავიც იმას ეკუთვნის!—ერთხმად განაცხადეს კოლმეურნეებმა და გაღიმებულებმა დათოს გადახედეს.—ამ კაცს დათვი მოუკლავს, შენ კი, მერგოლურო, მისი წამოყვანაც არ გინდოდა!

დათო პირველად ვითომ დაეჭვდა, ხუმრობით ხომ არ მაკუთვნებენ ტყავსაო, მაგრამ იმდენი სითბო და მოფერება იგრძნო კოლმეურნეების ნათქვამში, რომ ეჭვი მაშინვე გაუქრა.

დათოს ტყავი მაინც არ უნდოდა.

— ჩემი იყოს დათუჩა, ტყავი არ მინდა,— ჩაილაპარაკა მან გაუბედავად.

— დათუჩაო? ვინ დათუჩა, რა დათუჩა?! — წამოიძახეს კოლმეურნეებმა, რომლებიც ისე გართულიყვნენ დათვის მოკვლის ამბით, რომ არც კი შესულან იმის გამორკვევაში, თუ რა ეჭირა დათოს ხელში გულთან მიხუტებული.

როცა ნახეს ბელი, დათვის მოკვლაზე უფრო გაუკვირდათ, მიუახლოვდნენ, თავზე ხელი წაუთათუნეს და მისი შეპყრობის ამბავი იკითხეს. როცა იასონმა უამბო, დათოს უთხრეს:

— მაგ დათუჩას ისედაც ვინ შეგედავება, შე კაცო! — მერე ხუმრობით ჰკითხეს:

— თუ ვაჟკაცი ხარ, აბა ახლა ის გვითხარი, ხვადია თუ ძუ შენი დათუჩაო?

დათომ არ იცოდა რა ეპასუხნა, დაიბნა, გაწითლდა.

„თუ ვაჟკაცი ხარო“... ასე უთხრეს ნამდვილად... ჰმ... ვაჟკაცობაზე ხელის აღება არ უნდოდა, მაგრამ რა ექნა, როცა არ იცოდა რა ეპასუხნა. მამას გადახედა უმწეოდ.

იასონი მიუხვდა შვილს, რაც გასაკვირი ჰქონდა, ამხანაგებს მის მაგიერ გასცა პასუხი:

— ხვადია ნამდვილი!

დათოს გულზე მოეშვა, მაგრამ ახლა ის გაუკვირდა, რომ ეს მამამ იცოდა, მან კი არა.

დაკვირვებულმა იასონმა დათუჩას ხვადობა უთუოდ მაშინ შენიშნა, როცა იგი ქინჩზე ხელწავლებული და მაღლა აწეული ეჭირა — სავსე ტიკჭორასავით გაბერილი, მუცელგადმოგდებული.

ხუბა ბერულავა

წითელი ყელსახვევი

შენ იცნობ ქართველ აკადემიკოსს,
მთელ ქვეყანაში განთქმულ მეცნიერს,
ოცნებობ ხშირად, რომ გაიზრდები,
ხალხს უკითხავდე მისებრ ლექციებს.
შენ წაგიკითხავს შრომები მისი
და მისი სიტყვაც სწავლის შესახებ,
მაგრამ თუ იცი, ყრმობისას, ისიც
რომ ატარებდა წითელ ყელსახვევს!

შენ იცნობ მებრძოლს, რომლის მკერდზედაც
ოქროს ვარსკვლავის შუქი კაშკაშებს,
სამშობლისათვის დიად ბრძოლაში
მხარში რომ ედგა გმირებს, ვაჟკაცებს.
იცი, რომ ახლა სოფელში იღწვის,
თავს დასტრიალებს ბაღებს, ვენახებს,
მაგრამ თუ გითხრეს, ნეტავი, ისიც
რომ ატარებდა წითელ ყელსახვევს!

იცნობ მსახიობს, ვისაც ყოველთვის
აბობოქრებულ ტაშით ხვდებიან,
ეჰ, მისი ბედი ამ ტაშის გამო,
შენც ხოშ მრავალჯერ მოგნატრებია!
სახლში სურათსაც ინახავ მისას
და იცნობ მისგან შექმნილ ბევრ სახეს,
მაგრამ თუ იცი, რომ ბავშვობისას
ის ატარებდა წითელ ყელსახვევს!

შენ იცნობ ექიმს, ჭაღარამოსილს,
მთელი თბილისი მისით ამაყობს!
ამბობენ: მისი უებრო ხელი
უმალ კურნავსო ყველა ავადმყოფს.
მასზე ბევრი რამ გაგიგონია,
ერთხელ რუსთველზე თვითონ შენც ნახე!
მაგრამ თუ იცი, რომ ბავშვობისას
ის ატარებდა წითელ ყელსახვევს!

...ახლა შენც გშვენის ეს ყელსახვევი
და მომავალი გელის ბრწყინვალე,
შენც უნდა გახდე ადამიანი —
სახელოვანი და მოწინავე.
მშობლიურ ქვეყნის რჩეულთა შორის
თუ გსურს ამშობდეს ხალხი შენს სახელს,
გახსოვდეს მუდამ, გახსოვდეს მტკიცედ,
რომ შენ ატარებ წითელ ყელსახვევს!

ლესია უკრაინკა

მხატვარი ალ. გიგოლაშვილი

ლ ე ს ი ა

თავისუფლების სიმღერის გედი,
აქ, საქართველოს ცისქვეშ მღეროდა.
ვამაყობ, რომ აქ ცხოვრება ერგო
და ამომავალ ვარსკვლავს ელოდა.

აქ ფრთებს უხსნიდა ოცნების მერცხალს,
დნებოდა ქალი, როგორც სანთელი.
აქ უნაპირო ლაქვარდებს შერჩა
მისი ღიმილი უკანასკნელი.

ვკოცნოთ ერთურთი პოეტის ძეგლთან
უკრაინელო, ძმაო არწივო,
ლესიას გული ამ დღისთვის ძგერდა,
ჩვენც ძმობის დროშა მაღლა ავწიოთ.

თქვენ გურამიშვილს გაუღეთ კარი,
ჩვენ აქ გავუღეთ გული ლესიას.
მათი უკვდავი ლექსების ბწკარი
ჩვენი დიადი ძმობის ფესვია.

გულო, თქვი, რაც კი უკეთესია,
დასძარ გრძნობები მარად ნეტარი.
ძვირფასო დავით, ტკბილო ლესია,
წამოგახედათ წუთით ნეტავი!

ეპიზანგ გორგანელი

ზ ე ი მ ი ზ უ ბ ო ვ კ ა ში

მზე ჩადის...

ჩვენ უკვე სოფელ ზუბოვკის მისასვლელებთან ვართ. აი, ამ პატარა აღმართსაც ავივლით და მალე იმ სოფელში ვიქნებით, სადაც თავისი ცხოვრების ნნიშვნელოვანი ნაწილი გაატარა დიდმა ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა.

სამშობლოდან აქ მოსვლას და საბოლოოდ დამკვიდრებას დიდი დრო, დიდი წვალებით მგზავრობა და დიდი სულიერი ტკივილები შეალია საკუთარი და იმდროინდელი საქართველოს ბედუკუღმართობით გატანჯულმა პოეტმა.

უცხო მხარეში უშვილოდ დაბერებული პოეტი ისე ჩავიდა სამარეში, რომ ვერც თავისი დიდებული შემოქმედების დაფასებას შეესწრო და ვერც სამშობლოს თავისუფლებას.

ასეთი იყო გურამიშვილის—როგორც მოქალაქის ბედი.

მაგრამ დრო სხვა ბედს უმზადებდა მას—როგორც პოეტს.

მისი ლექსების სითბომ გაადნო უკუღმართი ბედის ყინული და პოეტის სევდიანი შუბლი დიდების გვირგვინით შემოსა. ამ გვირგვინში საქართველოს მთებისა და ველების მშობლიურ ყვავილებთან ერთად ჩაწნულია რუსეთისა და უკრაინის მინდვრების სურნელოვანი ყვავილებიც...

ამ ფიქრებით შევდივართ ზუბოვკაში.

აგერ ჩვენს შესაგებებლად წამოსული ხალხი გამოჩნდა. ხალხს წინ სამი მოხუცი ზუბოვკელი კოლმეურნე მოუძღვის. მოხუცებს ხელში ახალი მოსავლის პურები უჭირავთ. ჩვენც სამნი ვართ: მე, ალექსანდრე ჭეიშვილი და ოთარ ჩხეიძე – ჩვენი ჯგუფი მიუძღვის რუსი და უკრაინელი მწერლების დელეგაციას.

მღელვარებით ვუახლოვდებით მოხუცებს: ვგრძნობთ, მოხუცებიც ღელავენ, მათს თვალებში სიხარულის ცრემლებს ვამჩნევთ. ერუანტელი გვივლის ტანში, ვკოცნით ახლადგამოშცხვარ უკრაინულ პურს, რომლის შუაგულზეც ქვამარილის ნამტვრევები აწყვია.

პური და მარილი... საუკუნო ძმობისა და მეგობრობის ნიშანია!

მოხუცების უკან აქამდე მდუმარედ, მწყობრად მომავალი ხალხი იშლება, გამორბის და შეძახილებით გვეხვევა გარშემო.

„ხაი ჟივე!“

„გაუმარჯოს!“

„და ზდრავსტვუიტ!“ გაისმის ირგვლივ.

უცებ ჩემს წინ საიდანღაც პიონერი, ქერაკულულებიანი, ლამაზი უკრაინელი გოგონა ჩნდება... მღელვარე, მგრძნობიარე სიტყვით მოგვმართავს ქართველ სტუმრებს, მადლობას უგზავნის დიდ ბელადს ასეთი შინაარსიანი ცხოვრებისა და ერთა შორის ძმობის დამყარებისათვის.

დავით გურამიშვილის დროინდელი ადგილობრივი ქართველების ჩამომავლები გვეცნობიან: ოდიშელიძე, ბელიბა...

სახელდახელოდ გამართული მიტინგი მომმე საბჭოთა ერების ძმობისა და მეგობრობის გამოხატულებას წარმოადგენს. გაისმის რუსული, უკრაინული, ქართული სიტყვა.

გურამიშვილის ლექსს „ზუბოვკას“ მშობლიურ ენაზე კითხულობენ ოთარ ჩხეიძე, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ოლექსა ნოვაცკი. ჩვენგან ზუბოვკელებისათვის საჩუქრად ჩატანილ დიდ ალბომს „საბჭოთა საქართველოს“ ფურცლავს ლიდა ოდიშელიძე; დასცქერის საბჭოთა საქართველოს ლამაზ მთებს, მინდვრებს, მდინარეებს.

მზე რახანია ჩავიდა. გრილი საღამოა. მთვარე აშუქებს უკრაინულ სოფელს. მთელი ზუბოვკის მოსახლეობა ლამაზ, ჩეებით დამშვენებულ ეზოშია თავმოყრილი და ჩვენთან ერთად მირგოროდის მომღერალთა გუნდს უსმენს.

მღერიან რუსულ, უკრაინულ, ქართულ სიმღერებს.

აქ უკრაინის პატარა სოფელში რაღაც მეტად მშობლიურად გაისმის ჩვენი „სულიკო“, „ციცინათელა“...

ვუსმენთ და გვიხარია, გვახსენდება, რომ სწორედ დღეს საქართველოში, სურამის ლამაზ მიდამოებში ასეთივე სიყვარულით გაისმის უკრაინელი ხალხისა და მისი საამაყო შვილის, პოეტი ქალის ლესია უკრაინკას სადიდებელი სიტყვები და მშობლიური სიმღერები.

გიორგი შაგბერაშვილი

ზუბოვკა

დავით გურამიშვილი

მხატვარი თ. ამაკელია

დავით გურამიშვილი

(ნაწყვეტი)

აქ, ამ მიწაზე დალია
სიცოცხლე შავი-დღიანი,
ვინც გვიანდერძა სამკვიდროდ
უკვდავი «დავითიანი»,
გულის ჩირაღდნით გზა განვლო
ავდრიან-ამინდიანი.

საქართველოზე მღეროდა,
ცეცხლს უკიდებდა იარა,
როს ტყვეობიდან გაიქცა,—
მშიერ-მწყურვალმა იარა,
ის რუსმა გლეხმა დაიხსნა,
რუსეთის მეფემ კი არა.

ჩვენი ძმობა და კავშირი
მტკიცეა სალი-კლდესავით,
მას ვერ გაარღვევს ვერაგი
მტრობის და შუღლის მთესავი,
ხალხთა დიდ ოჯახს მიუძღვის
სტალინის დროშა მზესავით.

მაქსიმ რილსკი

თარგმნა უკრაინულიდან ალიო მირცხულავამ

ივანე ურჯუმელაშვილი

პიონერის ჩანაწერები

მოსკოველი სტუმრები

მოსკოვიდან მოწვეული სტუმრების დახვედრის სამზადისს მათი ბარათის მიღებისთანავე შევუდექით ბანაკში. ეზო დავასუფთავეთ, პიონერული ოთახი მივალაგ-მოვალაგეთ, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები მოვაწყეთ, სტუმრებისათვის საწოლი ოთახები გამოვყავით, საჩუქრები გავამზადეთ.

დადგა სასიხარულო დღე—26 ივლისი.

დილიდანვე განსაკუთრებული სიმხიარულე სუფევდა ბანაკში. ყველს სუფთად ეცვა, ყველას ემღერებოდა, ყველ სტუმრებს ელოდა.

პატარა თამაზსაც კი, რომელსაც ყოველთვის ტანისამოსი აჯაჯული ჰქონდა, თეთრი ხალათი მოჭალ შარვალში კოხტად ჩაეტანებინა და საყელო შეეკრა; თუმცა ყელსახვევი არც ახლა ეკეთა. ბანაკში ჩამოსულის მოლოდინ დღესვე დაკარგა მან ყელსახვევი. ეს საკითხი ჩვენ რახშის საბჭოს განვიხილეთ და თამაზს საყვედური მივეცით.

თამაზს ცელქობაში ტოლი არ ჰყავს. ყოველთვის მოსვრილი ტანისამოსით დადის, თან ერთი სანტერესო ჩვეულება აქვს: ისე დღე არ გავა, რომ ტყეში არ გაიპაროს; დადის და სოკოებს ჰკრეფს, მცენარეებს აგროვებს და ყოველივე ამას პატარა ყუთში ინახავს. ერთხელ სადღაც გაქრა. საძებნელად უფროსი პიონერხელმძღვანელი და რამდენიმე პიონერი წავედით. ბევრი ვეძებეთ, თუ ცოტა, როგორც იყო ვიპოვნეთ,—წყლამდე მდინარეში იდგა და წყლის მცენარეებს გლეჯდა.

თამაზი დღეს დილითაც გაიპარა ტყეში. ფერადი ყვავილები მოკრიფა და ისეთი დიდი თაიგული გააკეთა, რომ გვირგვინი გეგონებოდათ. ახლა თამაზს ხელში თაიგული ეჭირა და ჩვენთან ერთად სტუმრებს ელოდა.

დიდხანს არ დაგვჭირვებია ლოდინი. გზაზე ორი ავტომანქანა გამოჩნდა.

— მოდიან, მოდიან! — გაისმა აქეთ-იქიდან შეძახილები. ყველანი შარაგზისაკენ გავიქეცით. სწრაფად გვიახლოვდებოდნენ ავტომანქანები. მალე გარკვევით დავინახეთ წითელყელსახვევიანი მგზავრები. ისინი ხელს გვიქნევდნენ და მეგობრულად გვიღიმოდნენ.

გაისმა სიმღერა, ტაშის გრიალი და ვაშას ძახილი. სტუმრები მკვირცხლად ჩამოხტნენ ავტომანქანებიდან. ერთმანეთს მეგობრულად ხელი ჩამოვართვეთ, გადაეეხვიეთ. თამაზმა სტუმრებში თავისავით ტანდაბალი ბიჭი გამოარჩია და თაიგული მიართვა.

— მადლობა, მეგობარო, მე ვალოდიას მეძახიან, შენ რაღა გქვია? — ეკითხებოდა სტუმარი თამაზს და დიდი კაცივით ხელს ართმევდა.

გაიმართა მატინგი. პირველად ჩვენმა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ილაპარაკა, შემდეგ მოსკოველმა პიონერმა ზინაიდა კოსტოჩკინამ წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა; გამოვიდნენ სხვა პიონერებიც.

მთელი დღე გაგრძელდა ბანაკში ზეიმი. მოსკოველ პიონერებთან ერთად ვმღეროდით, ვცეკვავდით, ესაუბრობდით. საღამოთი კი კოცონი ავანთეთ. ბევრი საინტერესო ამბავი გვიამბეს სტუმრებმა.

რა ბედნიერები არიან ისინი! ყოველ წელს მონაწილეობას ღებულობენ საპირველმისო დემონსტრაციაში და ნახულობენ საყვარელ სტალინს. წელსაც უნახავთ ტრიბუნაზე მდგარი ბელადი, რომელიც მათ ხელს უქნევდა და ულიმოდა.

ჩვენ კი ბელადის სამშობლო ქალაქისა და იმ ისტორიული ადგილების შესახებ ვუთმბეთ, რომელიც დიდი სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.

ჯერ ისევ გიზგიზებდა კოცონი, როცა მე ნინა კლუგინამ ხელი ჩამავლო და მთხოვა გვავლოლოდი. მთელი დღე მე და ნინა ერთად დავდიოდით, ვსაუბრობდით. ჩვენ უკვე მოვსაწარით დამეგობრება.

მერცხალივით მკვირცლი და კარგი საამხანაგო გოგოა ნინა. ხუთისანი მოწაფეა, წელს მეშვიდე კლასში გადასულა. დედამისი ცნობილი სტახანოველია, მამა კი...

ნინამ ამოიოხრა და ოდნავ აკანკალებული ხმით მითხრა:

— აქედან შორს ხომ არ არის გორი?

მერე ჩაფიქრდა და დაუმატა:

— ოჰ, როგორ მინდა, როგორ მენატრება ამ ქალაქის ნახვა.

ბელადის კერასთან

გორში კვირა დღეს გავეგზავრეთ. სწრაფად მიგვაქროლა მატარებელმა. შუადღე იყო, როცა ჩვენ სტალინის პროსპექტით ბელადის სახლისაკენ მივაბიჯებდით. სხვისი რა გითხრათ, მე კი მსუბუქად, ლაღად მივდიოდი. ვილაი მიხალოვიმ წამოიწყო სიმღერა, მას ნანული კოპლატაძემ მისცა ბანი და მალე ყველა ავმღერდით. მთელს ქალაქს მოეფინა ჩვენი სიმღერა. მგზავრები ჩერდებოდნენ, ყურს გვიგდებდნენ და იღიმებოდნენ.

აი ბელადის სახლიც.

ფრთხილად ავედით პატარა ხის კიბეზე, თითის წვერებზე ვდგებოდით, მორიდებით ვადგამდით ფეხს, თითქოს გვინდოდა, რომ არ დაგვეღვიძა ჯუღაშვილების კერიის დიადი სიმშვიდე. აქ ეგზილი მას თვალი. აი თიხის დოქი, მაგიდა, ტახტი...

ვიდექით, ვდუმდით და ბელადის კერიის აკერით ვტკბებოდით.

— ფრონტზე მეორედ წასვლის წინ მამაჩემიც იყო აქ,—ხმადაბალი წარმოთქვა ნინა კლუგინამ და თვალი მომპარიდა.

დიდხანს ათვალიერეს სტუმრებმა ბელადის სახლი. ხელით ეხებოდნენ მოაჯირს, აგურის კედლებს, სახლის გარშემო დარგულ ყვავილებს.

როცა ბელადის სამშობლო ქალაქიდან მატარებლით თბილისისაკენ მიექროდით, აცრემლებულმა ნინა კლუგინამ აი რა მიამბო.

1942 წელს მისი მამა სევასტოპოლთან დაჭრილა. სამი თვე წოლილა თბილისის ჰოსპიტალში.

უკანასკნელ ბარათში მამა სწერდა:

„ეე უკვე გამოვჯანსაღდი, დღეს პირველად დავათვალიერე გორი. ენახე ბელადის სახლი. ჩემო საყვარელო ცოლშვილო! თუ რა დიდი სიხარული, რა დიდი აღტაცება განვიცადე მე აქ, ამას მაშინ გიამბობთ, როცა სახლში დავბრუნდები. ხვალ დილით კრაკოვის ფრონტზე მივემგზავრები“.

ეს ყოფილი უკანასკნელი ბარათი. ორი დღის შემდეგ დიპეშა მიუღიათ, რომელშიც ატყობინებდნენ, რომ მამა კაკაესონის მისადგომებთან გმირულად დაღუპულა.

მეგობრობა

სტუმრების ჩამოსვლამ უფრო შინაარსიანი გახადა ბანაკის ცხოვრება. ორ-სამ დღეში ჩვენ და სტუმრები ისე დავუახლოვდით ერთმანეთს, რომ დილიდან-საღამომდე ერთად ყოფნა არ გეწყინდებოდა.

მე ოცდაათივე მოსკოველ პიონერთან ვმეგობრობდი, მაგრამ, არ ვიცი რატომ, განსაკუთრებით ნინა კლუგინა შემიყვარდა.

საღამოობით ჩვენ ხშირად ერთად დავდიოდით და ერთმანეთს მოგვთხრობდით წაკითხულ წიგნებს, ვსაუბრობდით ნახულ სპექტაკლებზე, ჩვენი მშობლიური ქალაქების ღირსშესანიშნაე ადგილებზე...

„ლამაზია საქართველო, — წამიკითხა დღეს ნინამ თავისი დღიური — მომწონს მისი ჰაერი, მთები, მინდერები, მდინარეები. რა დამაეიწყებს აქ გატარებულ დღეებს! მე ხშირად წამიკითხავს საბჭოთა ხალხების მეგობრობაზე. ახლა კი ეს ჩემი თვალით ვნახე. მუდამ მეხსომება ფოლადაურის პიონერთა ბანაკში გატარებული დღეები და ძეირფასი ქართველი მეგობრები“.

თამახი კი ვალოდიასთან მეგობრობდა. მართლა, კინაღამ დამავიწყდა: ვალოდიამ ბანაკში ჩამოსულისას, როცა მას თამახმა თაიგული მიართვა, თავის მხრივ პიონერული ყელსახვევი აჩუქა. ახლა თამახს ყოველთვის კოხტად ჰქონდა მოკლე შარვალში ხალათი ჩატანებული და ვალოდიას ნაჩუქარი ყელსახვევი ეკეთა. ტყეში, ან მდინარეზე ვალოდიასთან დამეგობრების შემდეგ ალარ გაპარულა. ისე კი არ გეგონოთ, მცენარეთა კოლექციის შეგროვებისთვის თავი დაენებებინოს. არა, მცენარეებს მაინც აგროვებდა, როცა პიონერები კოლექტიურად მივდიოდით ტყეში.

ერთხელ თვალი მოვკარი ვალოდიას და თამახს. ისინი ყველასგან განცალკევებით ისხდნენ. ვალოდიას ხელში წიგნი ეჭირა, თამახს კი მუხლისთავზე რვეული გაეშალა და წერდა. ეს ცოტა არ იყოს გამიკვირდა. თამახი და მეცადინეობა! არასოდეს მინახავს, რომ თამახს ხელში ან წიგნი სჭერიდეს, ან კალამი. ახლო მივედი და მეგობრებს გამოველაპარაკე. თურმე თამახს რუსულში ორიანი ჰყოლია. ჩვენთან ამის შესახებ არასოდეს წამოსცდენია. ახლა თურმე რუს მეგობარს გამოსტყდომია.

— თამახ, დარდი ნუ გაქვს,—უთქვამს ვალოდიას,— საგნის მომზადებაში მე დაგეხმარები...

ლაშქრობა

ორი დღე ვემზადებოდით ლაშქრობისათვის. რაზმეფული საბჭოს სხდომაზე დავადგინეთ მარშრუტი. შეკარჩიეთ დასასვენებელი და ღამის სათვეი ადგილები, გამოვყავით მზვერავები, დავნიშნეთ განგაშის გამოცხადების დრო.

ჯერ მზე არ იყო ამოსული, როცა მებოტკემ „განგაში“ დაუძახა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ უკვე ტყისკენ მივემართებოდით. ყველაზე წინ ვალოდია და თამაზი მიდიოდნენ. ისინი მორიგე მზვერავები იყვნენ. ბევრი სიარელის შემდეგ მივადექით მოხრდილ გოროკას, რომელსაც მხოლოდ ერთი ვიწრო ბილიკი ასდევდა ხშირ და მაღალ ბუჩქნარებში. დავადექით ამ ბილიკს. ველინელდებოდა აღმართზე ასვლა. მივდიოდით ნელ-ნელა და სიამოვნებით ვუცქერდით ერთი ბუჩქიდან მეორეზე ჯგუფ-ჯგუფად მტტენავ ფრინველებს, რომლებიც ამომავალ მზის სხივებს ქიონელ-ხიბილითი ვეგებებოდნენ.

ერთ ადგილას მზვერავები შეჩერდნენ, ორთავე ხელი მაღლა აიშვირეს და ხმამაღლა გადმოგვძახეს:

— ესეც სამწვერისის მთა, ჩვენ უკვე მის მწვერვალზე ვდგავართ.

ნაბიჯს ავუჩქარეთ და მალე ჩვენც მწვერვალზე ავედით. ჯერ კარგად დავისვენეთ, შემდეგ პატარა ხეგში ჩავირბინეთ და წყლისალი მოვიკალეთ. აქეე შევუდექით სადილის გამზადებას. მე და ნინამ სადილი ერთ ქვაბში მოვიხარშეთ. ნინას სხვა დროსაც მიუღია მონაწილეობა ასეთ ლაშქრობაში. მან მასწავლა ჯოხებზე დაკიდულ ქვაბში სადილის მოხარშვა. მე და ნინამ ერთი ქვაბიდან ვისადილეთ.

— ასეთი გემრიელი კერძი არასოდეს მიჭამია,— მითხრა ნინამ. სწორედ ამის თქმას ის-ის იყო თვითონ ვაპირებდი.

სამწვერისის მთიდან სოფელ ბოლნის-სანინისაკენ გავემართეთ. დიდი და პატარა სამუშაოდ იყო გასული. ჩვენც ყანებში წავედით. კარგი სანახავი იყო შემოსული პური! ძმიმე, დაჯიჯნულ თავთავებს მოწითალო ფერი დასდებოდათ, თავი დაბლა დაეხარათ და ოდნავათაც არ ინძრეოდნენ. ხელმარჯვენე კოშტაინი გუგუნებდა, ხელმარცხნივ კი პატარა ფერდობზე კოლმეურნეები ყანას ცელავდნენ. — ზედ შუა მინდორზე, პატარა მდინარის შორიახლოს ორი კალო გაემართათ. კოლმეურნეებს ძლიერ გაეხარდათ ჩვენი მისვლა. მოსკოველებს თურმე არასოდეს ენახათ ქართული კალო. ისინი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ კევრს და მასში შებმულ ხარებს. ჩვენ საღამომდე დავრჩით მინდორში; ვინ კევრსე იჯდა, ვინ მოჭრილ ყანას ფოცავდა, ვინ ძნის დამდებმელ კოლმეურნეებს ეხმარებოდა, მაგრამ პიონერების უმრავლესობა კომბაინს უყურ მისდევდა და და დანაკარგ თავთავს კრეფდა.

საღამოთი კოლმეურნეებისათვის კალოზე კონცერტი გაემართეთ. სიტყვამ მოიტანა და ისიც მინდა ვთქვა, რომ ჩვენ და სტუმრებმა რუსულ-ქართული სიმღერების გუნდი ჩამოვაყალიბეთ. მოსკოველი პიონერები უკვე თავისუფლად მღეროდნენ „დილას“. კონცერტზე სწორედ ეს სიმღერა შევასრულეთ პირველად, შემდეგ რუსულად ვიმღერეთ „სიმღერა სამშობლოზე“, ამას „გაფრინდი შავო მერცხალო“ მოჰყვა. შევასრულეთ აგრეთვე რუსული და ქართული ცეკვები. გვიან დამთავრდა ჩვენი კონცერტი. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კონცერტის ყველა მონაწილეს ხელის ჩამორთმევით მადლობა გადაგვიხადა.

იმ ღამეს კალოზე გვეძინა. რა მშვენიერი, რა საამო ღამე იყო. ირგვლივ გალეწული პური დამპორობელი სუნი იდგა. დროგამოშვებით მკროლავ ნიავს ახლად მოთიბული ყანის სურნელი მოჰქონდა.

* * *

ამით ვამთავრებ ჩემს ჩანაწერებს. როცა თბილისში დავბრუნდები და ამბანაგებს წვაკითხავ, უმალ მიხვდებიან, რომ მე ბევრი, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი, ამბავი გამომრჩა. რა ვუყოთ მერე, განა ვინმე დამძრახავს, რომ ყველაფრის აღწერა ვერ შევძელი?!

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი ბანაკი დაიშურება. რა თქმა უნდა, სტუმრებს, როგორც წესი და რიგია, მოსკოვში გავისტუმრებთ, ქართველი პიონერები კი ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს დავუბრუნდებით. კი არ გეგონოთ, რომ ამით დამთავრდეს ჩვენი მეგობრობა! მოსკოველი და ქართველი პიონერები ყოველთვის მეგობრები ვიქნებით!

— ნეტავი, მალე გვანახა მოსკოვი.—მითხრა გუშინ თამაზმა.

— მალე ვნახავთ, — ვუპასუხე მე, — ნუთუ არ იცი, რომ სტუმრები საგანისოდ თავიანთ ბანაკში გვიწვევენ!



დიდი ჯაჯიკი მეცნიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1952 წლის 19 თებერვალს გამოქვეყნდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი, სადაც ნათქვამი იყო, რომ საჭიროა მსოფლიოს ხალხებმა «პატივი სცენ იმათ, ვინც მათი შრომების მნიშვნელობის მეოხებით მთელ კაცობრიობას ეკუთვნის», და ვიქტორ ჰიუგოსა, ნიკოლოზ გოგოლსა და ლეონარდო და ვინჩოთან ერთად დაასახელა აღმოსავლეთის სამყაროს უდიდესი ექიმი, ფილოსოფოსი და მეცნიერი ავიცენა, რომლის გარდაცვალებიდან 1000 წელი შესრულდა მიმდინარე წელს.

ᲐᲕᲘᲪᲔᲜᲐ

ნახატი უჩა ჯაფარიძისა

შესანიშნავი ტაჯიკი ექიმი და ფილოსოფოსი აბუ-ალი ალ-ჰუსეინ იბნ-აბდალაჰ იბნ-სინა, რომელიც ევროპაში ცნობილია ავიცენას სახელით, დაიბადა 980 წელს, ბუხარას მახლობლად, სოფელ აფშანაში.

თექვსმეტი წლის ასაკში იბნ-სინას შესწავლილი ჰქონდა იმ დროისათვის არსებული მეცნიერების თითქმის ყველა დარგი და შეუდგა მედიცინის შესწავლას, რომელიც ძალიან მოკლე დროში დაძლია. იბნ-სინა დილიდან საღამომდე შეუპოვრად შრომობდა მეცნიერების დასაძლევად; მისთვის არ არსებობდა გადაულახავი სიძნელეები ამ გზაზე. მან ორმოცჯერ წაიკითხა არისტოტელეს მეტაფიზიკა და თითქმის ზეპირად ისწავლა იგი.

ცხოვრების მძიმე პირობებმა, გაუთავებელმა ხეტიალმა და პატმრობამ ძალზე შეარყია იბნ-სინას ჯანმრთელობა და იგი ჯერ კიდევ 57 წლის ასაკში გარდაიცვალა პამადანში.

იბნ-სინას ერთერთი საპატიო ადგილი უკავია მსოფლიოს კულტურის ისტორიაში. მან მეცნიერების სხვადასხვა საკითხებზე დაწერა 100 მეტი სახელწოდების ნაშრომი. არ არსებობდა მეცნიერების ისეთი დარგი, რომ არ შეესწავლოს და თავისი დაკვირვებებით არ გაემდიდრებინოს X—XI საუკუნეების ამ შესანიშნავ ტაჯიკ ენციკლოპედისტს. იგი იყო არა მარტო უდიდესი ექიმი და ფილოსოფოსი, არამედ საუკეთესო ზოოლოგიც, გეოლოგიც, ასტრონომიც, პოეტი-პროზაიკოსიც და მუსიკათმცოდნეც. თანამედროვეები სამართლიანად უწოდებდნენ იბნ-სინას, არისტოტელის შემდეგ, «მეორე მასწავლებელს», «ექიმთა ბატონსა» და «ფილოსოფოსთა ბატონს».

მედიცინის დარგში იბნ-სინას დაწერილი აქვს 16-მდე სახელწოდების თხზულება, რომელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი «კანონ ფი-ტ-ტიბბ»-ი. («მედიცინის კანონი»). «მედიცინის კანონმა» უდიდესი როლი შეასრულა როგორც აღმოსავლეთის, აგრეთვე დასავლეთის სამედიცინო მეცნიერების განვითარების საქმეში. მე-13 მე-17 ს. ჩათვლით იგი მრავალგზის ითარგმნა და გამოიცა ლათინურ და დასავლეთ-ევროპის სხვადასხვა ენებზე. «მედიცინის კანონი» საუკუნეთა მანძილზე ძირითად წყაროსა და სასელმძღვანელოს წარმოადგენდა ევროპელი ექიმებისათვის, და პირველსარისხოვანი სასწავლო საშუალება იყო ევროპის უნივერსიტეტებისათვის.

იბნ-სინას უდიდესი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე მესულმანური სამყაროს ფილოსოფიური აზროვნების განვითარების საქმეშიც. იგი იყო მე-11 საუკუნის ფილოსოფიური აზროვნების ყველაზე დიდი წარმომადგენელი, ყველაზე ახლოს მივიდა არისტოტელესთან და თავისებურად განავითარა იგი.

ფილოსოფიის საკითხებზე იბნ-სინას დაწერილი აქვს მრავალი წიგნი, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა «დანეშ ნამე» («ცოდნის წიგნი») და «ქით

რევაზ ინანიშვილი მხატ. შ. ცხადაძე

ნაცნობი ხმა

მოთხრობა

არც თეთრი წვერი მაქვს, არც თეთრი ულვაშები, თმაში სულ ახლახანს გამერია ჭაღარა. ხამი ტილოს ქურთუკი და მძიმე ჩექმები მაცვია [სხვა ფეხსაცმელი არ მიყვარს], ყავისფერი ფეტრის ქუდი მხურავს. ყალიონს ვეწევი. ჯერ ყავარჯენი არ მჭირდება — ყოჩაღად ვარ. წლოვანება?.. რა საჭიროა წლოვანება, მაინც არავინ მიჯერებს, რომ ოთხმოცს მივაღწიე...

ჩემი სამყოფელი სოფლიდან შვიდი კილომეტრითაა დაშორებული, იგი ძველი ციხესიმაგრეა, ირგვლივ მუხნარით დაბურული მთები აკრავს, თვითონ კი ველში დგას. ველი საკმაოდ მოზრდილია; ნოყიერი ბალახითა და ათასნაირი ყვავილითაა დაფარული. ოხ, ეს ყვავილები!.. გგონიათ მარტო თქვენ გიყვართ, ყმაწვილებს?! ყვავილები ჩვენც გვიყვარს — მოხუცებს, განსაკუთრებით მეფუტკრეებს. პირველი ენძელა გაჩნდება თუ არა, დღე და ღამ მათზე ვფიქრობთ. მოდიან: კოჩივარდები, ფურუსულები, იები, შროშანები, შლეგა, სალაბი, ძიძო, იონჯა და ესპარცეტი, [ხეხილის ყვავილს ხომ თვლა არა აქვს]—სულ ერთმანეთზე კარგნი, საყვარლები. მოაქვთ საამო სურნელება, სიხარული, და მთელ დღეს მთვრალივით დავბარბაცებ...

ციხიდან ასიოდე ნაბიჯის დაშორებით, ქვითკირის თაღით გამაგრებულ ჭატარა კლდიდან ანკარა წყარო მოწანწკარებს. აუზში გუშდება. წყაროსთან ნანგრევებს, ნაბაღრებს და ნავენახრებს შეხვდები. ჩანს აქ ოდესღაც ცხოვრება დუღდა, ხეხილსა რგავდნენ, ბაღ-ბოსტანს უვლიდნენ. შრომაც სცოდნიათ და ლხინიც. აბა მაშ სად უნდა გამოეცალათ ის ხუთ-ხუთ საპალნიანი ქვევრები, აქ რომ ასე ხშირად არის დაფლული. მოსულან მტაცებლები: სპარსნი, თურქნი, არაბნი; დაუწიოკებიათ ეს მშვიდობიანი, გამრჯელი ხალხი. დაუწვავთ და დაუნგრევიათ მათი სახლები; თოფის ტყვიებით დაუხეთქიათ ქვევრები. ჯორაქლემებისთვის აუკიდიათ ყველა ხელწამოსაკრავი და წაუღიათ, რატომ? რისთვის? ბევრნი ყოფილან და გვერეოდნენ? ასე გამოდის!

ამ უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში ნაწილობრივ მაინც გავაცოცხლეთ ნასოფლარი, ორასზე მეტი ფუტკრის ოჯახი შეაქეცრა კოლმეურნეობამ აქ; მათი მოვლა მე მომანდეს. და ვშრომობ, დავტრიალებ ფუტკარს. შემოდგომაზე და ზამთარში ვნადირობ. მაქვს ძველი, მაგრამ კარგად მოვლილი ორლულიანი თოფი, ეზოში დიდი, ბანჯგვლიანი ქოფაკი მიბია, პატარა მეძეზარიც მყავს.

ჩემი თანაშემწე გაბო ჩუმზე ჩუმი კაცია. უყვარს კითხვა. დღე და ღამ რომ წიგნი ეჭიროს ხელში, არ მოსწყინდება, ავა აქვე, ჩვენი ბანის უკან აღმართულ კლდეზე, ჩამოჯდება ჰაერში გადმოკიდებულ ლოდზე და ზის ასე, გარინდებული. რამდენჯერ მიკითხავს: რა ძალა გადგა, გაბო, რატომ იბობღები იმ სიმაღლეზე? იღიმება, თეთრ ლამაზ კბილებს აჩენს, მხრეს იჩეჩავს.

ზოგჯერ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამოდის, პირდაპირ დერეფანში შემოაგდებს გაქაფულ ცხენს. რამდენიმე წუთში მიირბენ-მოირბენს აქაურობას [სათქმელი რომ მქონდეს, ვერც კი ვასწრებ], შეჯდება და ჰერი, დაეშვება უკან.

მგზავრი... მგზავრიც იშვიათია აქ, ბალთიგორელი ფშავლები თუ ჩამოვლიან. წყალს დალევენ, პირს დაიბანენ, ცხენებს მოაძოვებენ და წავლენ.

მეტყვეები და მეღორეები არიან ჩვენი ხმის გამცემნი. მოვლენ, ამოქექავენ აბგებს, თუ გვაქვს—თითო ჭიქას გადავკრავთ, ყალიონს

გავაჩაღებთ, ამას ვიტყვით, იმას, და ტკბილად დავშორდებით.

... დღეს დილას კი უცნაური ხმა მესმის.

— ტრამ-ტრა - რამტა! ტრამ-ტრა - რამტა!

ეს არც გუბულის ხმაა, არც კოდალასი. არც ჩხიკვის. არც ცულის კაკუნია, არც ბალთიგორეული მზეექალოს ცხენის ეჟვნის წკრიალი. ყურს გუგდებ და ვრწმუნდები, რომ თანდათან უფრო ძლიერდება.

— ტრამ-ტარა-რამტა! ტრამ-ტარა-რამტა!..

რა არის? რა ხმაა? გაბოც არ არის შინ სოფელშია წასული]. ვის ვკითხო?

— ტრამ-ტარა-რამტა! ტრამ-ტარა-რამტა!

სკას თავს ვხურავ, პირბადეს ვიხსნი და გარეთ გამოვდივარ.

მზე ეს-ეს არის ახლა ასცდენია საჩიჩელას წიფლებს. ბალახებზე ჯერ ისევ ბრწყინავს ცვარი. ჰაერი არ იძვრის. ჭრიჭინნებიც კი სდუმან. და ამ დუმილში:

— ტრამ-ტარა-რამტა! ტრამ-ტარა-რამტა!

შესაძლებელია ყური მატყუებდეს! არა, არა: გარკვევით ისმის. გავაზეთის მხარესაა! მოიცათ?

ტყის პირას ვიღაცანი გამოდიან, ორნი არიან. არა, სამნი. სამნი კი არა, ხუთნიც იქნებიან, ხუთნი კი არა, მთელი რაზმი ყოფილა! ჩვენს წინ გამავალ ბილიკს მოსდევენ. გაუჩინარდნენ. ეს ჩალიანის ღელე გადაეღობათ, ახლავე გამოჩნდებიან. აი, აქეთ, ბერდიას თელასთან. სათითაოდ ამოდიან.

— ტრამ-ტარა-რამტა! ტრამ-ტარა-რამტა!

აა!... აი რაში ყოფილა საქმე. პიონერები არიან, წითელყელსახვევიანი პიონერები. წინ ახალგაზრდა ქალი მოუძღვით, ფართეარიანი ჩალის ქუდი ხურავს; ზურგჩანთა აქვს გადაკიდებული, ხელში ჯოხი უჭირავს. თითქმის ყველანი ასე არიან გამოწყობილნი. მხოლოდ ერთი მოდის თავშიშველი. ეს მედოლეა, პატარა მედოლე, ნამდვილი ცეროდენა. ასე კი აახმაურა აქაურობა! ცოტაც და სიცილი წამსკდება. შეხედეთ!... თუმცა რა არის ასეთი! წესიერი ბავშვები ლამაზად, მწყობრად მიდიან თავიანთ გზაზე, შენ კი, ბებერო,— ვეუბნები ჩემს თავს,—გამომდგარხარ და სიცილის დაყრასაც აპირებ. ის გირჩევნია გალავანს მოეფარო და შენს საქმეს ეწიო. ბავშვებს უყვართ, როცა თავს ადგილის ბატონ-პატრონად გრძნობენ.

ეზოში შეგბრუნდი, ავგუელი და ჩავუვლი სკებს. სამოცდამეთხუთმეტე სკა გასასინჯი მაქვს. პირბადეც აქ არის, საბოლოებელიც. მაინც არ ვხსნი. პატარა ბავშვივით გარეთ მაქვს გულისყური. ისე კარვად ვიცი ყველაფერი, თითქოს მეყურებნოს. აი, ისინი უკვე წყაროს წაადგნენ. შეჩერდნენ, ჩანთები მოიხსნეს, გაიფანტ-გამოიფანტნენ. წყალს სვამენ, ხელებს იბანენ, სახეზე იშხაპუნებენ. რომელიღაც ცელქმა კისერშიც კი ჩააწვეთა კაპარჩხანა გოგონას. რომელიღაც ჩემს საყვარელ ტირიფსაც კი მოაჯდა. ქანაობს, ხელმძღვანელი წყრება. მაგრამ ეს? აი ეს კი აზრად არ მოსვლია...

გალავანზე ორი თავი გამოჩნდა. ერთი მედოლის—წითელთმიანი, ჭორფლიანი. მეორე შავგვრემანი ბიჭის. ორივეს უზომოდ აქვთ დაგრძელებული პირები. ცხადია იცინიან.

— რა გინდათ, პატარებო?

უჰ, უხეშად მომივიდა. თავები ჩაიმალა. მაგრამ არა, ისევ გამოჩნდა, უფრო მაღლა, ესე იგი თავებს მხრებიც ამოჰყვა.

— ყველაში ფუტკრებია?—კითხულობს შავგვრემანი და სკებზე მითითებს.

— ყველაში. აი, უყურეთ, როგორ... შემოდით, შიგნით შემოდით!

— ძაღლი?

— ძაღლს სხვაგან გადავაბამ.

და ვიდრე ძაღლს გადავაბამდი, ალაყაფთან მარტო ის ორი კი არა, მთელი რაზმი გაჩნდა.

— გამარჯობათ! — მესალმება ხელმძღვანელი, ახალგაზრდა ქალი, ხელს მართმევს.— ჩვენ გვინდა ცოტა რამ გვიამბოთ ფუტკრის ცხოვრებიდან. თუ, რა თქმა უნდა, არ შეწუხდებით, თუ გცალიათ.

შეწუხება რას ქვია, მოცლა რა სიტყვაა!

— გამომყევით! გამომყევით!..

თან ბავშვებს ვერ ვაცილებ თვალს. ხელმძღვანელის გვერდით თითისსიგრძე ნაწნავებიანი გოგონა მოდის. როგორ კოპწიაობს! როგორ მომხიბვლელად იფარებს სახეზე ჩალის ქუდის არეს! მეორეს ვეებერთელა თაიგული მიეხუტებია მკერდზე, მალი-მალ ყნოსავს, უღიმის. მესამეს ნახევარმეტრიანი სახატავი ალბომი ამოუღლიავებია, მეოთხეს— ჰერბარიუმის საშრობი ბადე. მედოლე ხომ... დოლი ზურგზე მოუგდია. კაცმა რომ თქვას არაფერი არა აქვს ლამაზი, მაგრამ ამაყია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც ისეთი, რომლის დახატვა შეუძლებელია. მეორე ბიჭიც კარგია, მესამეც... სულ კარგები არიან! მინდა ყოველ მათგანს გამოველაპარაკო. ყველას სათითაოდ მოვუალერსო, მოვეხვიო.

— ფუტკრები, როგორც ხედავთ, სკებში ცხოვრობენ, თვითეულ სკაში ოთხმოცი ათასამდე...

— ბ-ბოდიში...

— ბრძანე, პატარავ!

— მე...—სახეზე ალმურმოდებული გოგონა ქუდს იხდის.—როგორ თვლით ფუტკრებს?

— სულ ადვილად, ვიცით, რომ ათიათასი ცალი ფუტკარი ერთ კილოგრამს იწონის, თუ სკაში რვა კილოგრამია...

— რვას გავამრავლებთ ათი ათასზე და მივიღებთ ოთხმოცი ათასს.

— დიახ, სწორედ ასე.

— რა ადვილი ყოფილა!

— ადვილია, ადვილი. აბა ამას შეხედეთ.

პირდაპირ თვალებში შემომციცინებენ. ვიტყვი რამეს და მომაყრიან კითხვებს.

— რამდენი დედა შეიძლება იყოს ერთ სკაში?

— რამდენ წელიწადს ცოცხლობს ფუტკარი?

რამდენი კილოგრამი თაფლი ამოიღეთ შარშან?

— ყველა ფუტკარს აქვს ნესტარი თუ არა?

— რატომ არის ზოგი თაფლი მწარე?

— როდის მიიღეთ «საპატიო ნიშნის» ორდენი?

ზოგს ბლოკნოტი დაუდვია მუხლზე, ზოგს რვეული. რაღაცას იწერენ, ინიშნავენ. ალბომის პატრონი ხატავს. ხელმძღვანელი მეათეჯერ იხედება საათზე.

— წასვლის დროა? რა ბრძანებაა! ჯერ ხომ სათქმელის ნახევარიც არ გვითქვამს! მამალი ფუტკრები სასიკვდილოდ არიან განწირულნი... ბალთიგორის ზემოთ მდებარე ციხე-ქალაქის დათვალიერებაც უნდა მოასწროთ? მოასწრებთ. ფუტკრებს ასეთი წესი აქვთ: ვინც არ მუშაობს, ის ვერც ჭამს. ბოდიში რა საჭიროა... თუ კი ასეა საქმე, უნდა წახვიდეთ. წასვლა სჯობს წარმავალისაო. კარგი კი იქნებოდა, რომ... ოხოხოხო, რა ამბავშია მედოლე! როგორი დიდის ამბით იქნევს ჯოხებს! გზა მშვიდობისა! გზა მშვიდობისა!



...თითქოს სიზმარში მომხდარიყოს. თითქოს ნიავს შემოჰყოლოდნენ—სულ ერთი წუთით, სულ ერთიბეწოხანს! ასე მძლავრად კი ამიძგერეს გული! ერთ ადგილზე ვეღარ ვჩერდები. შემპარდნენ, რომ კიდევ მნახავენ და მაშინ დიდხანს დარჩებიან. მალ-მალე გამოვდივარ გალავნის გარეთ, აქეთ-იქით ვიხედები, ყურს ვუგდებ—ხომ არ ისმის ნაცნობი ხმა:

—ტრამ-ტარა-რამ-ტა! ტრამ-ტარა-რამ-ტა!..

ტრამ!

მეგობარი მეშახტეები

ლავრენტი ბერიას სახელობის შახტის სამმართველოს ახლოს პატარა ხიდზე შეჩერებული საშუალო ტანის ახალგაზრდა; იგი იდაყვებით დაჰყრდნობია მოაჯირს და ფიქრში წასული დაჰყურებს ღალიზგას ჩქერების ბრძოლას სიპი კლდეების გამოჩრილ ქიმებთან. მას ეს ეს არი დაუმთავრებია თავისი ცვლა. მოგრძო, სანდომიან სახეზე ქვანახშირის მტვერი ამჩნევია; ჯერ კიდევ არ ჩაუქვრია კარბიტის ნათურა.

შუადღეა. ხშირი თხემლნარის თავზე ფოლადის ტროსებით დაქსელილი საჰაერო-სატრანსპორტო ხაზით ხეობაში ორმწკრივად მისრიალებენ ცაში ჩამოკიდებული ქვანახშირით სავსე ვაგონეტები.

— გაუმარჯოს მელიტონ ქანთარიას, მითხრეს, რომ აქა ხარ და სახლში აღარ მოგაკითხე. აი, შეხედე, ვისი წერილი უნდა გადმოგცე...

მელიტონმა მადლობა გადაუხადა პირტიტელი ფოსტალიონს და ყავისფერ კვადრატულ კონვერტს დააცქერდა. მეშახტის თხელი ტუჩები სიამოვნების ღიმილმა გახსნა, ნათურა გააქრო და სწრაფად ჩაიკითხა მელნით ნაწერი სტრიქონები. წერილის ავტორი, საბჭოთა კავშირის გმირი მეხეილ ეგოროვი ფრონტელ, საბრძოლო მეგობარს ატყობინებდა თავისი შრომითი საქმეების შესახებ სმოლენსკინის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში.

„...გულითა და სულით გილოცავ, მეგობარო, მეშახტის დღეს. ვიცი, რომ თავდადებულად იბრძვი შეასრულო დიდი სტალინის მიერ საბჭოთა მეშახტეების წინაშე დასახული ამოცანა: ყოველწლიურად 500 მილიონამდე ტონა ქვანახშირის ამოღების შესახებ. მეც შენსავით შრომის ფრონტზე ვიბრძვი, ვშრომობ კოლმეურნეობაში. ხშირად გიგონებ, მენატრები. მსურს განახო შახტში პერფორატორით ხელში და შენთან ერთად გავიხსენო ბერლინის იერიში“.

მელიტონმა ხიდის ყურში ჩაიმუხლა. პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა. მის მეხსიერებაში აღდგა ქვემეხების კვამლში გახვეული ბერლინი, გარუჯული და მკერდშეღებილი რაიხსტაგი...

— აბა, წამოდექი, წავიდეთ! — მოესმა ამ დროს მელიტონს შრომის ფრონტზე შეძენილი თავისი ახალი მეგობრის საპატიო მეშახტის ვასილ ჟიტნიკოვის ხმა.

— წავიდეთ,— თქვა ქანთარიამ და მეშახტეები თბილი აბაზანის მისაღებად გაემართნენ.

ვასილ ჟიტნიკოვი სამთო საქმის ნამდვილი ოსტატია. იგი მრავალი წელია რაც თავის საპატიო პროფესიას ახალგაზრდებს ასწავლის, უზიარებს მათ პირად მდიდარ გამოცდილებას.

საბჭოთა შეიარაღებულ ძალებიდან დემობილიზაციის შემდეგ, სახელგანთქმული მეომარი მელიტონ ქანთარია მეშახტეთა ქალაქში — ტყვარჩელში გაემგზავრა. „გამარჯვება შრომაშიც!“ — აი, როგორი იყო მისი მტკიცე გადაწყვეტილება. ტყვარჩელში მას მეგობრული ხელი გაუწოდა სახელოვანმა მეშახტემ ჟიტნიკოვმა. დღეს საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ქანთარია უკვე მოწონავე მეშახტეა. მას ზედმოწევნითა აქვს ათვისებული მნგრეველისა და გამყვანის პროფესია. რუსი მეგობრის უანგარო დახმარებით იგი დღითი-დღე სრულყოფს თავის ოსტატობას.

თბილი აბაზანის მიღების შემდეგ მელიტონი და ვასილი დასასვენებლად გაემართნენ.

— მობრძანდით, ძია მელიტონ, რამდენი ხანია გელოდებით. — მიმართა მეშახტეს ალისფერი ბანტით მორთულმა ცქრიალა გოგონამ, ვასილის ქალიშვილმა რაიამ. მელიტონი რბილ სავარძელში ჩაჯდა და სთხოვა გოგონას პიანინოზე შეესრულებინა რახმანინოვის „გაზაფხულის მდინარეები“ — მისი საყვარელი ნაწარმოება.

— გაიხედე, ვასილ, დიდი ფაციფუცია.

ჟიტნიკოვმა ღია ფანჯარაში გაჰყო თავი. მეშახტის სამმართველოს შენობას წითელი ალმებითა და ლოზუნგებით რთავდნენ.

— გასაგებია, ხვალ ხომ „მეშახტის დღეა“ — თქვა ვასილმა. მან ღიმილით გადახედა თავის გოგონას, რომელმაც დაკვრა დაამთავრა და ცქვიტად გადმოხტა სკამიდან. სამმართველოს ეზოდან მოისმოდა სიმღერისა და საცეკვაო მუსიკის ხმა. მეშახტეთა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი კონცერტისათვის ემზადებოდა.

ჯ. მესხი



ანა ზეგერსი

ანა ზეგერსი გამოჩენილი რეკოლუციონერი გერმანელი მწერლის — ნეტი რეიღინგის ლიტერატურული ფსევდონიმია. იგი დაიბადა 1900 წელს ქალაქ მაინცში (დასავლეთი გერმანია), ბურჟუაზიულ ოჯახში. მომავალი მწერალი თავიდანვე ეწაფება პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას. ოცი წლის ნეტი ეცნობა ერნსტ ტელმანის, ვილჰელმ პიკის, მორის ტორეზის, მარსელ კაშენისა და პოლ ვაიან-კუტურიეს შრომებს. ამავე დროს იგი გატაცებით იწყებს მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის გენიალური შრომების შესწავლას. ამ წიგნებმა გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინეს მომავალი მწერლის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. იგი 1927 წელს შედის გერმანიის კომუნისტური პარტიის რიგებში.

ანა ზეგერსი სამწერლო ასპარეზზე გამოდის 30-იან წლებში.

მწერალმა ქალმა ყურადღება მიიპყრო თავის ნიჭიერად დაწერილი პუბლიცისტური ხასიათის სტატიებით, მოთხრობებით, რომანებითა და ნარკვევებით. მის ნაწარმოებთა შორის შესანიშნავია: „მეთეეზეთა აჯანყება“, „თებერვლის გზით“, „თანამგზავრები“, „განთავისუფლება“, „ამერიკის საელჩოსაკენ მიმავალი გზით“. ამ ნაწარმოებებში მწერალი ქალი სიმპათიას უცხადებს უბრალო ადამიანებს, იცავს ხალხთა შორის ძმურ სოლიდარობას, ამათრახებს ჰიტლერის დამქაშებს, ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ ომის გამჩაღებლებს. გადაკრით გამოდის საბჭოთა კავშირის დასაცავად.

ანა ზეგერსი ჰიტლერის ბატონობის წლებში იძულებულია გაიხიზნოს საზღვარგარეთ, სადაც იგი კვლავ განაგრძობს მუშაობას ჰიტლერის სისხლიანი დიქტატურის წინააღმდეგ.

ემიგრაციაში ყოფნის დროს წერს შესანიშნავ რომანს — „მეშვიდე ჯვარი“, რომელშიაც ნაჩვენებია ხალხის წიაღიდან გამოსული ნამდვილი გმირები — ფაშიზმის წინააღმდეგ უშიშარი მებრძოლები. ანტიფაშისტურ ლიტერატურაში ეს რომანი ყველაზე ძლიერია; დიდია მისი მხატვრული ღირებულებაც.

1949 წელს მწერალი ქალი აქვეყნებს დიდ რომანს „მკვდრები რჩებიან ახალგაზრდები“. რომანის გმირებია გერმანელი ხალხის რჩეული შვილები — კომუნისტური პარტიის მებრძოლები, რომლებმაც თავი შესწირეს გერმანელი ხალხის განთავისუფლების საქმეს.

მშვიდობის დაცვის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1951 წლის ოქტომბერში ანა ზეგერსს პირველი ხარისხის ნაციონალური პრემია მიაკუთვნა.

ანა ზეგერსი საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარია, იგი რამდენჯერმე იყო საბჭოთა კავშირში, გაეცნო საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს, კომუნიზმის გიგანტურ მშენებლობებს, რის საფუძველზეც დაწერა ნარკვევების წიგნი — „საბჭოთა ადამიანები“, რომელშიაც ავტორი ამჟღავნებს გულწრფელ სიყვარულს საბჭოთა კავშირისადმი.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ ანა ზეგერსს 1951 წლის დეკემბერში საერთაშორისო სტალინური პრემია მიენიჭა.

ს. თურნავა

ანა ზუბერსი

მხატვარი ზ. მეძმარიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალმოსახლე

ჭუჭყიანი და ჩამოფლეთილი, მთლად გაცვეთილი ფეხსაცმელებითა და გასისხლიანებული ფეხებით დაბრუნდა ომის დასასრულს ანტონ გამბოში, სიკვდილის პირად მყოფ ცოლთან ერთად, ბრანდენბურგის სოფელ ჰაგეკალდში. სიცოცხ, უიმედობა და შიში დიდხანს ღრღნიდნენ მის სულს. ანტონი ყველას უღრნდა; არცკი უნდოდა დაეხახა მისკენ გამოშვერილი ხელი, რომლისგანაც თითქოს დარტყმას ელოდა. მოწყალებაზე თვითონაც უარს ამბობდა. მას აღარაფრისა და აღარავისი სწამდა ქვეყანაზე.

დიდი ხვეწნის შემდეგ, ცოლმა როგორც იქნა დაიყოლია ანტონი და ყანაში სამუშაოდ გაისტუმრა. როდესაც საბჭოთა კომენდანტმა სოფლის დარიბ-ღატაკებს მამული გაუნაწილა, შვიდნახევარი ჰექტარი ერგო ანტონს. მან მიიღო ინვენტარიდან ის, რაც უფრო სჭირდებოდა; მემამულის ფერმიდან მიიღო ძროხა და ზოგიერთი წვრილფეხიც. გამბოში ახალმოსახლე გახდა, მაგრამ პირველ ხანებში უგულოდ მუშაობდა.

ახალმა კანონებმა, როგორც ჩანს, მისი გულიც მოიგეს. როდესაც მშენებლობაზე კრედიტების გაცემა დაიწყო, გამბოშმა უბრალო სადგომი შეიძინა. ხმას აღარ იღებდა. თითქოს ლანძღვასთან ერთად ლაპარაკიც დაავიწყდა. უხმოდ და გულმოდგინედ მუშაობდა ის თავის ყანაში, იხდიდა ყველა გადასახადს.

ხალხში არასოდეს გაერეოდა, არც კრებებს ესწრებოდა, არც ლუდხანაში დადიოდა, რაც გულში ჰქონდა საკუთარ ცოლსაც არ ეუბნებოდა. თითქოს არ აზროვნებს, გამოიფიტა—თავისუფლად შეიძლებოდა ეფიქრა ადამიანს.

მაგრამ, მიმდინარე წელს, როდესაც ჰაგეკალდში მშვიდობის მოსავლის დღეს დღესასწაულობდნენ, ანტონ გამბოშმა მოახერხა თავისი გულისნადების გამოთქმა.

მწკრივად გაჭიმულიყვნენ სადღესასწაულოდ მორთული, ძნით სავსე ურმები. მათ შორის გამბოში გამწყრალი და მოღუშული, ძონძებში გახვეული მოამბიჯეებდა; ნაყარ-ნაყარი ძონძებით, დაგლეჯილი ფეხსაცმელებით დატვირთულ ურემს მოაჭრიალებდა. ურემზე მიეკედილ ფიცარზე ეწერა:

«აი რა მომცა ჰიტლერმა და ომმა!»

უკან კი ძნით დატვირთული მეორე ურემი მოდიოდა. გამბოშის მორთულ-მოკაზმული, მომღიმარე ცოლი ზედ იჯდა. ამ ურემზედაც იყო მიმაგრებული ფიცარი წარწერით:

«აი რა მომცა საბჭოთა კავშირმა და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ».

თარგმანი გერმანულიდან
ნელი გოგიჩაძისა

პიონერული რგოლი

საინტერესო, შინაარსიანი მუშაობა პიონერულ რაზმებში შეეძლებელია თუ ხელმძღვანელი კარგ, მეგობრულ აქტივს არ ეყრდნობა.

საკ. ალკაც ც კ-ის მე-7 პლენუმი თავის დადგენილებაში აღნიშნავს, რომ «პიონერული ორგანიზაციის მთელი საქმიანობა უნდა აიკოს თვით პიონერთა ინიციატივისა და თვითმოქმედების ყოველმხრივი განვითარების საფუძველზე».

ამ საპასუხისმგებლო საქმეში კი უფროსი ხელმძღვანელის პირველი თანაშემწე არის პიონერული აქტივი.

ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ყოველ პიონერულ რაზმეულში ჩატარდება საანგარიშო-საარჩევნო შეკრება, სადაც არჩეული იქნებიან რგოლის ხელმძღვანელები, რაზმისა და რაზმეულის საბჭოს წევრები. ეს პიონერები კეთილი გაზეთის რედაკოლეგიის წევრებთან, წრის მამასახლისებთან, პიონერ-ინსტრუქტორებთან ერთად შეადგენენ რაზმეულის აქტივს, მაგრამ რაზმეულის აქტივის არჩევა კი მხოლოდ დასაწყისია; საჭიროა ყოველდღიურად ვასწავლოთ, ვუხელმძღვანელოთ მათ, რადგან ისინი პირველ ხანებში მუშაობის გამოცდილებითა და ცოდნით არაფრით განსხვავდებიან თავიანთი დანარჩენი ამხანაგებისაგან.

ვინაიდან პიონერული მუშაობა ძირითადში პიონერულ რგოლში მიმდინარეობს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რგოლის ხელმძღვანელებთან მუშაობას.

რგოლის მთელი მუშაობა უნდა ექვემდებარებოდეს სკოლის სასწავლო-აღზრდელობით მიზანს და ტარდებოდეს რაზმის ხელმძღვანელისა და საბჭოს ხელმძღვანელობით, მასწავლებლების დახმარებით.

ხელმძღვანელი და მასწავლებელი აქტიურ დახმარებას უწევენ რგოლებს მათს მუშაობაში, ურჩევენ რა გააკეთონ შეკრებებზე, რა იკითხონ, სად წავიდნენ ექსკურსიაზე. რასაკვირველია ანგარიში უნდა გაეწიოს თვით პიონერების ხუთვილს, ყოველმხრივ ხელი უნდა შეეწყოს მათი ინიციატივის გამოვლინებასაც.

უმცროსი და უფროსი ასაკის რაზმების რგოლების მუშაობა ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ უფროსებში მუშაობა შინაარსით უფრო რთული და მას პიონერები უფრო დამოუკიდებლად აკტარებენ.

პიონერული რგოლის მუშაობის გეგმა უშნარეს ყოველისა გამომდინარეობს რაზმის საერთო გეგმიდან.

უმცროს რგოლებში (III, IV კლასები) გეგმა დგება 1 ან 2 კვირის. უფროს რგოლებში (V-VIII კლასები) კი ნახევარი, ერთი სასწავლო მეოთხედისათვის. მიზანშეწონილია რგოლს ცალკე გეგმა ჰქონდეს ზამთრის და საზაფხულო არდადეგებისათვის.

გეგმაში აღნიშნული იქნება ღონისძიება, როგელიც უნდა ჩატარდეს, აგრეთვე შესრულების ვადა და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. გეგმის შედგენისას უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ რგოლში არცერთი პიონერი არ უნდა დარჩეს დაცალების გარეშე.

პიონერებს განსაკუთრებულ სტიმულს მუშაობაში აძლევს შეჯიბრება რგოლში. ისინი ხალისით ეკიბრებიან ერთმანეთს ფიზკულტურაში, სასწავლო ნივთების მოგლაში, ტექნიკური მოდელების გაკეთებაში და სხვ.

საჭიროა და აუცილებელი თვითონ ბავშვები მივაჩვიოთ ჩატარებული სამუშაოს, მიცემული დავალებების შესრულების კონტროლს. მუშაობის აღრიცხვა რგოლში უნდა იყოს ინდივიდუალური; მთელმა რგოლმა უნდა იცოდეს ვინ როგორ შესასრულა მიცემული დავალება.

მუშაობის ხასიათის მიხედვით რგოლში პიონერები მოქმედებენ ხან ცალცალკე, ხან ჯგუფებად, ხან კი მთელი რგოლი ერთად. მეცადინეობას, რომელშიც აუცილებელია: ყველა პიონერის მონაწილეობა, ეწო�d რგოლის შეკრება. რგოლის შეკრება ეს არის რგოლის კოლექტიური მოქმედების ძირითადი ფორმა.

რგოლის შეკრებაზე პიონერები სწავლობენ რაიმე სასარგებლოს, მსჯელობენ—ვინ როგორ სწავლობს, რომელი პიონერი რაში საჭიროებს დახმარებას. კოლექტიურად კითხულობენ რეკომენდირებულ წიგნს, ან სტატიას. ასრულებენ მასწავლებლის მიერ მოცემულ დავალებას ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს ნახულისა და წაკითხულის შესახებ. ამზადებენ მსატვრულ გამოსვლას, ერთობიან, თამაშობენ, მღერიან. ცეკვავენ და სხვ.

რგოლის შეკრებები ტარდება საკლასო ოთახში, ბაღში, კლუბში, მუზეუმში, რომელიმე პიონერის ბინაზე, გამოფენაზე. არსებობს რგოლის შეკრების ჩატარების გარკვეული წესი. ჩვეულებრივ რგოლის შეკრება იწყება იმით, რომ პიონერები ეწყობიან, მწყობრად დადიან და აკეთებენ მსუბუქ ფიზკულტურულ ვარჯიშს. შეკრება მთავრდება თამაშობებით, სიმღერით.

დადგენილი წესის მიხედვით შეკრების დასაწყისში და დასასრულ რგოლის ხელმძღვანელი პიონერებს მიმართავს დევიზით: «ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!» რაზეც პიონერები ერთხმად მიუგებენ: «მზად ვართ!»

რგოლის მუშაობის წარმატება დამოკიდებულია როგორც მასწავლებლის, პიონერხელმძღვანელის, რაზმის და რაზმეულის საბჭოს წევრების დახმარებაზე, ასევე თვით რგოლის ხელმძღვანელის მონდომებაზე, ინიციატივაზე; ამიტომ მიზანშეწონილი იქნება რგოლის ხელმძღვანელად ყოველ წელს ახალი პიონერის არჩევა, რომ ამით ხელი შეეწყოს თითოეულ მათგანში ამ საუკეთესო თვისებების განვითარებას.

რაზმის ხელმძღვანელი და მასწავლებელი უნდა შეეცადონ ყოველ შემთხვევაში, როცა კი ეს შესაძლებელი იქნება, პირველ პლანზე წამოსწიონ რგოლი; ყველაფერში ანგარიში გაუწიონ მას. როდესაც რაზმში რაიმე დიდი საქმეა განზრახული, უნდა ანგარიში გაეწიოს რგოლების აზრს. სამუშაო განაწილებული უნდა იქნას რგოლებზე.

საჭიროა გავეფრთხილდეთ რგოლის ხელმძღვანელის ავტორიტეტს. მოეცეთ ყოველგვარი შესაძლებლობა გამოაჟღენინოს თავისი ნიჭი, ინიციატივა, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.

რაზმის ხელმძღვანელმა და მასწავლებელმა რგოლის ხელმძღვანელს უნდა შეაუნერგოს, რომ ის არის პასუხისმგებელი რგოლის მუშაობაზე, იმაზე, რომ რგოლში ყველა პიონერი გაიზარდოს ლენინურ-სტალინური კომკავშირის მომავალ ღირსეულ წევრად.



ეკატერინე გაბაშვილი— „საბავშვო მოთხრობები“

გამოჩენილი ქართველი მწერალი ეკატერინე გაბაშვილი ბავშვების მეგობარი და მასწავლებელი იყო. მის ბრწყინვალე მოთხრობებზე, მთელი თაობები აღიზარდნენ. იგი იყო თავისი დროის პროგრესულად მოაზროვნე, თავისუფლებისათვის მებრძოლი და დანაგრულთა გულმტკივნეული ქომაგი.

ეკატერინე გაბაშვილი თავის გმირებისადმი უსაზღვრო სიყვარულს აღგიძრავთ. თავიდანვე მათდამი უდიდესი თანაგრძნობით იმსჭვალებით და ოოცა თქვენს თვალწინ ისინი უდანაშაულოდ იოტაგნებიან, უთანასწორო შეჯახებისა და დუხჭირი ცხოვრების მსხვერპლი ხდებიან, თქვენს გულში სიბრალულთან ერთად შურისძიების გრძნობაც იბადება.

გლეხის გული სიკეთის ზღვააო, ამბობს მწერალი თავის მოთხრობებში, და მართლაც გვიჩვენებს, რომ მშრომელი გლეხი თავისი მატერიალური სიღარიბის მიუხედავად, სულიერად მდიდარია, კეთილი. ამის პარალელურად მწერალი ხატავს თავადების, ენციენების, ვაკრების ეგოიზმს, რასაც ისინი ევლურობამდე მიჰყავს. იგი გვიჩვენებს რომ მჩაგვრელთა გული ბოროტების ჯურღმულად გადაქცეულა, მათ ადამიანური ინსტიქტები დაუკარგავთ და ნამდვილ მტაცებელ მხეცებად ქცეულან.

ყოველივე ამას ეკატერინე გაბაშვილი ერთნაირი სიმძაფრითა და უშუალობით ხატავს, როგორც მოზრდილთათვის, ისე ბავშვებისათვის დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებებში.

განა შეიძლება მღელვარების გარეშე აღვიქვა თვალყური მკითხველმა პატარა კონას თავგადასავალს? კითხულობთ მოთხრობას და მოთმინება გეკარგებათ, ეღიად როდის გაიღეიძებს ამ პატარა არსებაში ადამიანური ძალა.

დაუვიწყარი არიან ეკატერინე გაბაშვილის სხვა სახეებიც. ეკ. გაბაშვილის მოთხრობები „ბაირახტარი“, „ღვინია გადაიჩეხა“, „მაგდანას ლურჯა“, „თინას ლეკერი“, „როგორ მიეგება სეიმონიკა ახალ წელიწადს“, „ხატაური ჩემია“, „კამარინსკი“ და სხვა, საბავშვო პროზის შედევრებია. ისინი აღბეჭდილი არიან დიდი ადამიანური გრძნობებით, ბავშვის სულიერი ცხოვრების ღრმა ცოდნით, სოციალური ბოროტების სიძულველითა და ადამიანის თავისუფლების სიყვარულით.

ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. იგი ბავშვმარება კარგად შეეცადა ბავშვებისა ძველი დროის სიდუხჭირე და უფრო მეტი სიყვარულით გავიხსენოთ დიადი და ბედნიერი საბჭოთა თანამედროვეობისადმი.

ერ. ქარალიშვილი

მაყვალა მრევლიშვილი— „ჩვენი სათამაშოები“

ნორჩმა მკითხველმა სიყვარულით მიიღო მაყვალა მრევლიშვილის ახალი საბავშვო ლექსების წიგნი—„ჩვენი სათამაშოები“.

წიგნი იხსნება ლექსით „თქვენთან გვინდა თამაში“. ფაქიზი გემოვნებით დაწერილ ამ ლექსით პოეტი ეუბნება ყმაწვილებს: სათამაშოები ადამიანმა გააკეთა, შრომა გასწია, საჭიროა გაფურფთხილდეთ და არ დაგამტვრიოთ.

ლექსი, „ნახატები“ ბავშვში ნერგავს შრომისადმი სიყვარულს, შრომისადმი მისწრაფებას.

საინტერესო ლექსია „არ გვინდა“. თუ საბჭოთა ოჯახი, საბჭოთა სკოლა ბავშვში აღვივებს უკეთილშობილეს ზრახვებს, ამერიკაში ბავშვებს სათამაშო ბომბებს აწვდიან უფროსები, ამერიკაში ბავშვების თამაში ომს უფრო გვაგონებს, ვიდრე თამაშს:

...ბავშვების ფეხთან გაშლილი
ბეერი პატარა სახლია,
ანგრევენ სახლებს ბავშვები,
პატარა ბომბებს აყრიან.
იმიტომ მოუგონიათ
ის სათამაშო ბომბები,
გული რომ ჰქონდეთ ბოროტი
და შეიყვარონ ომები.
ასე ეჩვევენ ყმაწვილებს
კაპიტალისტი მშობლები,
როგორ გაწყვეტონ ხალხი და
როგორ გადაწვან სოფლები“.

წიგნში მოთავსებული ლექსების უმრავლესობა ხელს უწყობს ბავშვის კომუნისტურად აღზრდის საქმეს, ბავშვებს აყვარებს შრომას, სწავლას, სისუფთავეს, მშობლიურ ბუნებას. წიგნს აქვს გარაკვეული შემეცნებითი ღირებულება, გასაგები ენით აწვდის ბავშვებს საინტერესო ცნობებს.

წიგნის ილუსტრაციები ეკუთვნის ნიჰიერ მხატვარს შალვა ცაცდაძეს. ილუსტრაციები მაღალი გემოვნებითაა შესრულებული.

ბავშვებო, წუაკითხეთ თქვენს უმცროს დებსა და ძმებს საინტერესო წიგნი—„ჩვენი სათამაშოები“.

ა. ლოგიძე



ძირტკბილა

მეტრი—მეტრნახევარი სიმაღლის მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მძლავრი და ნიადაგში ღრმად განვითარებული ფესვებით. მისი ღერო, ფოთლისა და ყვავილის ყუნწები მოკლე ბუსუსითაა დაფარული. ფრთათრთული ფოთლები 9—15 ფოთოლაკისაგან შედგება. ფოთოლაკები მორიგეობით სხედან ღეროზე. თითოეული ფოთოლაკი მოგრძო კვერცხისებურია; ისინი მოფენილი არიან ფისის შემცველი მრავალი წერტილოვანი ჯირკვლით. ძირტკბილა ივითარებს პატარა ზომის, იისფერ, მრავალრიცხოვან ყვავილებს, რომლებიც მტევან-ყვავილედშია შეკრებილი. ნაყოფი მოგრძო ფორმის პარკია და შეიცავს ერთ ან მრავალ თესლს. ძირტკბილა ყვავილობს მაისიდან ივნისის ბოლო რიცხვებამდე, ნაყოფის მოსხმას კი სექტემბრის ბოლოს ამთავრებს. ძირტკბილა გავრცელებულია ჩვენში შავი ზღვის სანაპიროდან დაწყებული ვიდრე მთის კალთებამდე; განსაკუთრებით მდინარის ნაპირებზე, ველებზე, ნათესების ახლოს და სათიბებში.

მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ ძირტკბილას ფესვებს, როგორც ამოსახველებელ საშუალებას. ფესვებს აგროვებენ ჩვეულებრივი წესით, მეტწილად ადრე გაზაფხულზე, ან გვიან შემოდგომაზე. გარეცხილ ფესვებს ჩრდილში ფენენ, აშრობენ და აფთიაქს აბარებენ.

ფარცმანდუკი

საქართველოში ცნობილია აგრეთვე ყვავისკუდას, მელისკუდას, ასფოთოლას, თაგვისკუდას, ციცისკოდას და სხვა მრავალი სახელწოდებით. ხასიათდება 50—60 სმ. სიმაღლის ღეროთი და ჰორიზონტალური მზოხავი ფესვურით; აქვს ორმაგ ფრთად განკვეთილი ფოთლები.

ფარცმანდუკი ყვავილობს მაისიდან ვიდრე აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე. ყვავილები ყვითელი ფერისაა. მისი ნაყოფი თესლურაა, რომელიც სექტემბერსა და ოქტომბერში მწიფდება. ფარცმანდუკი იზრდება საქართველოს ყველა კუთხეში, როგორც მშრალ ადგილზე ისე ნესტიანზეც. არ გვხვდება ძლიერ მლაშე ნიადაგებზე და ჭაობებში, ძირითადად გვხვდება ველზე. მდელოზე, კლდეებზე, ნათელ ტყეებში, ბუჩქნარში, მაღალ მთებში და ბარშიც.

მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ მთლიან მცენარეს და ყვავილებს, რომლებსაც აგროვებენ ყვავილობის პერიოდში, აშრობენ უმზეო ადგილას, სადაც ოდნავი გამკრავი ქარია. ნზა მშრალ მასალას აფთიაქს აბარებენ. მედიცინაში ფარცმანდუკი გამოყენებულია, როგორც კუჭის მონელებითი უნარიანობის გამაძლიერებელი მწარე არომატული საშუალება.

ზურაბ შენგელია
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

მოკლედ ყველაფერზე



პოღარული ზღვების გიგანტი

ანტარქტიკის ცხოველთა სამყარო შედარებით ღარიბია. აქ თითქმის არ მოიპოვება ხმელეთის ძუძუმწოვრები, ჩიტები ყველა ცხოველი—ვეშაპი, ,ხელაში და ფრინველიც კი—მთელი თავისი ცხოვრებით ზღვასთან არიან დაკავშირებული.

ანტარქტიკაში ყველაზე შესანიშნავი ცხოველი არის ლურჯი ვეშაპი. ეს ვეშაპი ყველაზე დიდი ცხოველია არა მარტო თანამედროვე ძუძუმწოვართა შორის, არამედ იმ ცხოველთა შორისაც, რომლებსაც ოდესმე უცხოვრიათ დედამიწაზე. მისი სიგრძე — 30 მეტრია, წონა—150 ტონა; ეს დაახლოებით ორი ელექტრომავლის ან 40 სპილოს, ან 300 ხარის წონაა. ერთი ლურჯი ვეშაპი მარტო ცხიმს 35 ტონას იძლევა.

ლურჯ ვეშაპს ყველაფერი უზარმაზარი აქვს. მისი გული 300 კილოგრამს იწონის, რომელიც ერეკება მის ვენება სხეულში 10 ტონა სისხლს. ვეშაპის კუქში ერთ ტონამდე საქმელი თავსდება. ზედა ყბიდან ვეშაპს ჩამოშვებული აქვს 400-მდე სამკუთხოვანი, სიგრძით თითო მეტრიანი რქისებრივი ფირფიტა—ვეშაპის კბილი, ამ ფირფიტებს შიგნითა მხრიდან თავისებური ფოჩები აქვთ—საქერი ბადე. ეს ბადე საშუალებას აძლევს ვეშაპს სულ წვრილზე-წვრილი ზღვის ცხოველი დიეჭიროს.

ვეშაპი ფილტვებით სუნთქავს, შვილებს ცოცხლად ბადებს, რითაც ოვეზებისაგან მკვეთრად განსხვავდება. ახალდაბადებული „პატარა" ვეშაპიც კი ვეებერთელაა; მისი სიგრძე 7 მეტრს აღწევს. ვეშაპი პატარა ვეშაპებს თავის რძით კვებავს. მისი რძე 50% ცხიმს შეიცავს, მაშინ, როცა ძროხის კარგ რძეში ცხიმი მხოლოდ 4%-ია. საკვების ასეთი კალორიულობა ხელს უწყობს ძუძუმწოვარა ვეშაპებს სწრაფად გაიზარდონ ცივი ზღვების მკაცრ პირობებში.

ბევრან შემოდგომაზე ვეშაპი რაკი ვეღარ პოულობს ანტარქტიკაში საკმაო საკვებს, ჩრდილოეთით მიდის, სუბტროპიკულ წყლებში. ამიტომაა რომ ზამთრობით ვეშაპები გვხვდება სამხრეთ ამერიკისა და სამხრეთ ამერიკის ნაპირებთან.

ზღვის ხახვი

ზღვის ხახვი დიდი ხანია ცნობილია მედიცინაში. მისგან ამზადებენ ხველების, გულის დაავადების, თირკმელების და სხვა დაავადებათა საწინააღმდეგო წამალს.

მაგრამ ამ ხახვს კიდევ ერთი ღირსება აქვს.

საკმარისია მისცეთ ვირთაგვას ან თაგვს ამ ხახვის სულ ცოტა-დენი მინარევი საქმელში და ეს მავნებელი ფეხებს გაფშეკს. ზღვის ხახვი შეიცავს განსაკუთრებულ გლუკოზიდებს, რომლებიც მომაკვდინებელია მხოლოდ და მხოლოდ ვირთაგვებისა და თაგვებისათვის და სრულიად უვნებელია სხვა ცხოველებისათვის, აგრეთვე ადამიანისთვის.

ამ ხახვის ნახევარი კილოგრამი საკმარისია 1500 ვირთაგვისა, ან 3000 თაგვის მოსასპობად. ამ ხახვით მოწამლული მღრღნელები თავისებურ მუმიად იქცევიან და ამიტომ მათ არ ასდით ლპობის სუნი.

ამ ხახვს „ზღვის" ეწოდება მხოლოდ იმიტომ, რომ ის შემოტანილია ხმელთაშუა ზღვის სანაპირიდან. გასაოცარი ბიოლოგიური თვისებებით გამოირჩევა ეს მცენარე. ის ხარობს მხოლოდ ზამთრობით, ზაფხულობით კი, როცა მთელი ბუნება იღვიძებს, ზღვის ხახვი თითქოს ძილს ეძლევა, ჰკარგავს თავის ლამაზ დეკორატიულ ფოთლებს.

ზღვის ხახვი მხოლოდ მეხუთე ან მეექვსე წელს იძლევა ყვავილს. ზაფხულში, როცა მას ფოთლები არა აქვს, ბოლქვიდან ისარივით ამოდის ადამიანის სიმაღლის ყვავილის ღერი.

წინათ ზღვის ხახვის თესლი ჩვენში უცხოეთიდან შემოკონდათ და მასში ვალუტას იხდიდნენ. საბჭოთა მცენარეთმცოდნეები ახლა თვითონ აშენებენ ამ სითბოსმოყვარულ კულტურას შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე. ზღვის ხახვი ხარობს აგრეთვე როფორც ოთახის მცენარე.



ჰოლფსტრიმი

1492 წელს ჭრისტეფორე კოლუმბმა ატლანტის ოკეანეში აღმოაჩინა თბილი დინება. ხოლო **1515** წელს ამ დინებას ჰოლფსტრიმი უწოდეს, რაც ინგლისურად „უის დინებას“ ნიშნავს.

ჰოლფსტრიმის დინება იქმნება ატლანტის ოკეანის ეკვატორულ წყლებში—პასატების ზეგავლენით. სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროებთან დინება ორად იყოფა, ერთი მიემართება სამხრეთისაკენ—ბრაზილიის დინების სახელწოდებით, მეორე კი შედის ყარიბის ზღვაში და შემდეგ მექსიკის ფაქში. აქედან ფლორიდის სრუტით დინება ჩრდილო ევროპისაკენ მიემართება.

დინების სიგანე 72 კილომეტრს აღწევს, სიღრმე—700 მეტრს, და სისწრაფე—საათში 9 კილომეტრს.

ამ დინებას თბილი წყლის დიდძალი მასა მოაქვს ევროპისაკენ, აზომიერებს და ათბობს ჩრდილო ევროპის კლიმატს. ჰოლფსტრიმს სავსებით სამართლიანად უწოდებენ „ევროპის ღუმელს“. ჰოლფსტრიმის სიმძლავრეზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საკმარისია აღინიშნოს, რომ მის მიერ მექსიკის ფაქიდან გამოტანილი წყლის რაოდენობა ორი ათასჯერ აღემატება მდინარე მისისიპის წყალს, რომელიც ამავე ფაქიში ჩაედინება.

ჩიტი, რომელიც იცინის

ავსტრალიაში გავრცელებულია პატარა ფრინველი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „მოცინარ ვირს“ უწოდებენ. ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ მისი სიმღერა სიცილს წაგავს, რაც შემდეგ ყოროყინვით გადადის, და მთელი საათობით გრძელდება. ავსტრალიაში ხშირად ახდენენ ამ ფრინველის უცნაური სიმღერის ტარანსლაციას რადიოთი.

მოცინარი ჩიტი ანადგურებს, გველებს, ბაყაყებს, ხვლიკებს, ამიტომ მისი მოკვლა კანონით აკრძალულია.

შინაარსი

ს. ჩიქოვანი—საბჭოთა მეომარი ბერლინში (ლექსი) . . . 1
ა. გაიდარი—Р. В. С. (მოთხრობა, თარგმნა ბ. შელიამ) . . . 2
ა. შენგელია—ყანა (ლექსი) 8
მ. მაჰვავრიანი—სტალინგრადი (ლექსი) 9
ო. ჭილაძე – ტრაქტორისტი (ლექსი) 9
ნ. კილასონია—პიონერთა სასახლე (ლექსი) 9
ლ. ქიაჩელი—პირველი ნადირობა (მოთხრობა) 10
ხ. ბერულავა—წითელი ყელსახვევი (ლექსი) 15
ვ. გორგანელი—ლესია (ლექსი) 16
მ. რილსკი—დ. გურამიშვილი (ლექსი, თარგმნა ა. მირცხულავამ) 16
გ. შაბგერაშვილი—ხეთი ხუბოვკაში (წერილი) 16
ი. ურჯუმელაშვილი—პიონერის ჩანაწერები (ნარკვევი) . . . 18
კ. ტაბატაძე—დიდი ტაჯიკი მეცნიერი (წერილი) 21
რ. ინანიშვილი—ნაცნობი ხმა (მოთხრობა) 22
კ. მესხი—მეგობარი მეშახტეები (ნარკვევი) 25
ს. თურნავა—ანა ზეგერსი (წერილი) 26
ა. ზეგერსი—ახალმოსახლე (მოთხრ. თარგმნა ნ. გოგიჩაიძემ) . 27
პიონერული რეფერი (წერილი) 28
ე. ქარელიშვილი—ეკ. გაბაშვილი—„საბავშვო მოთხრობები“ . 29
ა. ლომბიძე—მ. მრეველიშვილი—„ჩვენი სათამაშოები“ 29
ზ. შენგელია—სამკურნალო მცენარეები (წერილი) 30
მოკლედ ყველაფერზე: ა) პოლარული ზღვების გიგანტი,
ბ) ზღვის ხახეი, გ) ჰოლფსტრიმი, დ) ჩიტი, რომელიც
იცინის . . . . . 30—31
ბაადრაკი . . . . . გარეკანის მე-3
გასართობი: ა) მათემატიკური თავსატეხი ბ) თავსატეხი „—„ 3
გარეკანის პირველ გვერდზე—„თბილისის ზღვაზე“—ნახატი
შესრულებულია **უჩა ჯაფარიძის** მიერ.
გარეკანის მეოთხე გვერდზე—„ნახიმოველები“—ნახატი შესრულებულია **ალ. ვეფხვაძის** მიერ.
ყურნალი დასურათებულია მხატვრების: **კ. მაზარაძის, გ. ფოცხიშვილის, უ. ჯაფარიძის, შ. ცხადაძის** და **ზ. მეძმარიაშვილის** მიერ.

რედაქტორი **რ. მარგიანი.** პ/მგ. მდივანი **მ. ლებანიძე.** სარედაქციო კოლეგია: **ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი, გ. თავზაშვილი, მარიჯანი, გ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია.** სამხატვრო რედ. **გ. ფოცხიშვილი.**

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии Август № 8 1952
რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85. საბლიტგამი.

უე 00500 ტირაჟი 15.000 გამოსც. შეკვ. № 334 სტამბის შეკვ. № 942 ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის 14, გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკაას“ ოფსეტ-მანქანაზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსტატობის კანდიდატის თ. გიორგაძის რედაქციით.

ხ. კაპაბლანკა—მ. ბოგვინიკი

ჩვენი ჟურნალის ა. წ. მეორე ნომერში ჩვენ გვქონდა საუბარი მსოფლიო ჩემპიონ მ. ბოტვინიკის ბაკშვობის შესახებ. ახლა მოვაყვეს ის პარტია, რომელიც 1925 წელს 14 წლის მ. ბოტვინიკმა ერთდროულ სეანსში მოუგო მსოფლიო ჩემპიონ ხ. კაპაბლანკას.

1. d4 d5 2. c4 e6 3. ᲑC3 ᲑF6 4. ᲥG5. ᲑXD7 5. e3 (აკ შესაძლებელია, რომ თეორები ადვილად გაებან მახეში პაიკის მოგების დროს. აი როგორ: 5. cd ed 6. ᲑC5 7. ᲥB4+ 8. ᲚD2 ᲥXD2+ 9. ᲛᲒC2 ᲛᲒC8 და შავები რჩებიან ზედმეტი ფიგურით) 5... ᲥB4 6. cd ed 7. ᲚB3 c5 8. dc ᲚA5 9. ᲥF6 ᲑF6 10.0-0-0? (პატარა მიშამ აქტიურად გაითამაშა დებიუტი და კარგი მდგომარეობა მიიღო. უკანასკნელი სვლით მსოფლიო ჩემპიონი მიზნად ისახავს გამოიყენოს შავების გამხლოებული d5-ი პაიკი. მაგრამ ბოტვინიკი ღრმად გაანალიზებული მანევრებით იუმჯობესებს პოზიციას). 10...0-0 11. ᲑF3 ᲥE6 12. ᲑD4 ᲒAC8 13. c6. (**ახალი დიაგრამა**)

კაპაბლანკა აბრუნებს პაიკს, რათა არარაფი აქციოს ლაზიერის ფრთაზე ნორჩი პარტნიორის ინიციატივა. მომავალი მსოფლიო ჩემპიონი გაბედულად აღვივებს აქტიურ თამაშს და ჯილდოთ პაიკს იგებს 13. ...ᲥC3 14. ᲚC3 (თუ 14. ᲠF, მაშინ ᲥD4+ 15. bc ᲔC8+ 16. ᲛᲒB1 ᲥF5+ 17. ᲥD3 ᲥC3+ 18. ᲔD3 ᲥE5 და შავებს საკრძნობი მატერიალური უპირატესობა აქვთ. თუ 17. ᲛᲒA1, მაშინ ᲚA7! და მექარების ᲚC1+, ᲔE8 და ᲥC2-ის გამო თეთრების მდგომარეობა უიმედოა. თუ 14. bc, მაშინ bc და შავები მომავალში შეძლებენ მძლავრი შეტევის განვითარებას) 14. ...ᲚA2 15. ᲥD3 bc 16. ᲛᲒC2 c5 17. ᲑC6 ᲚA4+ (არ შეიძლებოდა 17. ...te 18. ᲔA1 გამო) 18. b3 ᲚA2+ 19. ᲚB2 ᲚB2 + 20. ᲛᲒ.:b2 te (ახლა შავების მოგებული მდგომარეობა აქვთ. დანარჩენი ტექნიკის საქმეა, რასაც ნორჩი მოუდარაჯე ამ



დროს არც თუ ისე ცუდათ იყო დაუფლებული) 21. t3 ᲔC7 22. ᲔA1 c4 (შავები ხსნიან ხაზებს და ჰქმნიან გამსვლელ პაიკს) 23. bc dc 24. ᲥC2 ᲔB8+ 25. ᲛᲒC1 ᲑD5 26. ᲔE1 c3 (შავები ემზადებიან მეორე ჰორიზონტალზე შეკრას) 27. ᲔA3 ᲑA4. 28. ᲔE2 ᲔD8 29. e4 ᲔC6 (მხადდება ᲔF2. ახლა არ შეიძლებოდა ᲔD2 30. ᲔC3 გამო და შავები მიხანს ვერ აღწევდნენ) 30. ᲔE3 (Ცუდია ᲔA7, ვინაიდან ბოტვინიკი მაინც თამაშობდა ᲔD2-ს) ᲔD2 31. ᲔC2+ 32. ᲔC2 ᲔC2+ კაპაბლანკამ თავი დამარცხებულად ცნო.

★ ★ ★

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

მათემატიკური თავსატეხი



რიცხვები: 10, 15, 20, 25, 40, 50, 65, 85, და 90 ჯაანაწილეთ წრეტილებზე ისე, რომ ყოველ წრეში და სამკუთხედში ცალ-ცალკე რიცხვების ჯამი უდრიდეს 200-სს.

თ ა ვ ს ა ტ ე ხ ი



დაჭყავით ეს ფიგურა ექვს ნაწილად, ისე, რომ ყველა ნაწილი თანაბარი სიდიდისა იყოს და ერთნაირი ფორმა ჰქონდეს.

38/75 77/123

ფასი 2 მან.